



უნივერსიტეტი

20
ოქტომბერი,
ორშაბათი,
2014 წ., №12

21 ოქტომბერს თსუ-ის აკადემიური საბჭოს არჩევნებია



იაგო კავჭავაძე



ავთანდილ სილაგაძე



ტენგიზ გვიცვაძე



ეთერ საშაიშვილი



გიორგი გალდავა



გიორგი გოგლაძე



მზია ნერეთელი



გა-4-13 ავ.



ქეთევან მარდავა



ნანა მათაშვილი



მარიამ გერსამია



ნუგზარ სურგულაძე



თეიმურაზ ლეუვა



ნანა ქუჩელაძე



მზია კუჩელაშვილი



ქეთევან ჩკუასელი



როსტანდ ამნაშვილი



თამარ აბაშიძე



მირთა სამსონია



ნანი გვარტიშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნისის, მედიცინისა და იურიდიული ფაკულტეტები 21 ოქტომბერს აკადემიური საბჭოს ახალ შემადგენლობას აირჩევენ. დარგისტრიკებული 19 კანდიდატიდან შეირჩევა 14 წევრი (თითო ფაკულტეტიდან ორი კანდიდატი). გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ აკადემიური საბჭოს წევრობის ყველა კანდიდატის ბიოგრაფიულ ცნობებსა და სამომავლო გეგმებს თუ პოზიციებს გაცნობთ, რათა ხმის მიცემისას თქვენი გადაწყვეტილების მიღებაში დაგეხმაროთ. აირჩიეთ თქვენთვის სასურველი კანდიდატი ფაკულტეტზე! ხმა მიეცით თქვენს რჩეულს აკადემიურ საბჭოში!

რეპტორს ახალი მოადგილე ჰყავს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ლადო პაპავას ბრძანებით, რექტორის მოადგილედ სტრატეგიული განვითარების საკითხებში დაინიშნა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების პროფესორი იოსებ სალუქვაძე, რომელმაც ამ პოსტზე მარინე ჩიტაშვილი შეცვალა.

იოსებ სალუქვაძე დაიბადა 1958 წლის 22 თებერვალს. 1974-1979 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის განხრით;

1979-1983 წელს იყო თსუ-ის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის კათედრის ასპირანტი; 1985 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი;

იოსებ სალუქვაძე 2005 წლიდან არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის პროფესორი (2005-2006 და 2010-2012 წლებში იყო საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი);

2002 წლის იანვრიდან არის მიწვეული პროფესორი მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის (გერმანია) საერთაშორისო სამაგიისტრო პროგრამაზე — „მინის მენეჯმენტი და მინათსარგებლობა“;

1994 წლიდან ჩართული იყო არაერთ საერთაშორისო პროექტში. მათ შორის:

2013 წელს – პროექტის კოორდინატორი, შიდა ქართლის რეგიონის ეკონომიკური განვითარების სტრატეგია (GIZ დაფინანსებით);

2011-2013 წლებში – კვლევითი პროექტის ხელმძღვანელი, „Coping with marginality and exclusion: can refugees communities successfully integrate into mainstream urban societies in Georgia?“ (შვეიცარიისა და კავკასიის აკადემიური ქსელის დაფინანსებით);

2011-2012 წლებში – პროექტის ავტორი, ურბანული საკითხების ექსპერტი, „საქართველოს ურბანული განვითარების მიმოხილვა (Georgian Urbanization Review): I ფაზა“ (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით);

2011-2012 წლებში – პროექტის თანაავტორი, სამხრეთ კავკასიის ქალაქების კვლევის კოორდინატორი, გაეროს აბიტატ-

ის პუბლიკაციაში „Eastern European Cities in Transition“ (გაეროს დაფინანსებით);

2011-2016 წლებში – მოკლევადიანი უცხოელი ექსპერტი მინის რეგისტრაციის, სოციოლოგიური კვლევისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში, „მინის კადასტრისა და რეგისტრაციის პროექტი აზერბაიჯანში“; (2011-2012 – კონცეფციის შემუშავების ფაზა; 2013-2016 – დანერგვის ფაზა; ქალაქი განჯა და შექის რაიონი) (გერმანიის მთავრობის (რეკონსტრუქციის საკრედიტო დანესებულების - KfW) დაფინანსებით);

2010-2011 წლებში – ადგილობრივი ექსპერტი-ურბანისტი, „ქალაქ თბილისის განვითარების სტრატეგიის“ დამუშავება (თბილისის მერიისა და მსოფლიო ბანკის დაფინანსებით);

2008-2011 წლებში – ექსპერტი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის პროექტი „Voluntary Guidelines on Responsible Governance of Tenure of Land and other Natural Resources“;

2006-2008 წლებში – ექსპერტი მინის გამოყენების საკითხებში, „ქალაქ თბილისის მინის გამოყენების (ოპერატიული) გენგეგმა“ (მერიისა და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) დაფინანსებით);

2000-2007 წლებში – თანახელმძღვანელი, „მინის კადასტრი და რეგისტრაციის“ პროექტი (გერმანიის მთავრობის (რეკონსტრუქციის საკრედიტო დანესებულების - KfW) თანადაფინანსებით);

1994-1999 წლებში – თანახელმძღვანელი, „თბილისის მინის მენეჯმენტის“ პროექტი (გერმანიის მთავრობის (ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება - GTZ) დაფინანსებით).

იოსებ სალუქვაძე 1998-1999 წლებში იყო ფულბრაიტის სტიპენდიის მფლობელი მკვლევარი (ურბანული და რეგიონული კვლევის სპეციალური პროგრამა, ურბანული კვლევებისა და დაგეგმვის კათედრა, მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, აშშ);

1991-1992 წლებში იგი იყო შვედური ინსტიტუტის სტიპენდიის მფლობელი მკვლევარი (სტოკჰოლმის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის კათედრა, ლუნდის უნივერსიტეტის სოციალური და ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრა, შვედეთი (კვლევა, სწავლება));

1988-1989 წლებში – ეკონომიკური გეოგრაფიისა და სივრცითი ორგანიზაციის ინსტიტუტში (ლოდის უნივერსიტეტი, პოლონეთი (კვლევა, სწავლება));



კვლევის/ინტერესის ძირითადი სფეროები: გეოურბანისტიკა, მინათსარგებლობის პოლიტიკა და მინის მენეჯმენტი, გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები (GIS), კულტურის გეოგრაფია.

გამოქვეყნებული აქვს 100-მდე პუბლიკაცია და პრეზენტაცია ქართულ, ინგლისურ, რუსულ, პოლონურ ენებზე;

მიღებული აქვს პროფესიული ჯილდოები: 2013 წელს – ვახუშტი ბაგრატიონის აკადემიური სახელობითი პრემია ნაშრომების

ციკლისათვის „სოციალური და გეგმარებითი ცვლილებები პოსტსაბჭოთა თბილისში“, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჯილდო, თბილისი;

2008 წელს — Doing Business-ის (მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის ერთობლივი პროექტი) ჯილდო ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის, ვაშინგტონი;

1990 წელს – საქართველოს არქიტექტორთა საზოგადოების პრიზი, გამარჯვებული პროექტის თანაავტორი, „ქალაქ თბილისის ურბანული განვითარების სივრცითი კონცეფცია“;

იგი არის საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების წევრი 1975 წლიდან; ვიცე პრეზიდენტი - 2008 წლიდან; ამერიკელ გეოგრაფთა ასოციაციის წევრი 2009 წლიდან; საქართველოს ურბანისტიკა საზოგადოების წევრი 1987 წლიდან;

არის რამდენიმე სამეცნიერო ჟურნალის საგამომცემლო კოლეგიის წევრი („კავკასიის გეოგრაფიული ჟურნალი“; თბილისი, 2002-დან; „European Spatial Research and Policy“. Łódź, Poland. 2009-დან; „FAO Land Tenure Journal“; Rome, Italy. 2009-დან.)

2010-2013 წლებში იყო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის საბჭოს წევრი (2011-2013 - თავმჯდომარის მოადგილე).

„ინფო ცენტრები“ — სტუდენტები სტუდენტებისთვის

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის წევრების ინიციატივით, უკვე მე-2 წელია სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ინფორმაციული ცენტრები ფუნქციონირებს.

„ინფო ცენტრები“ უნივერსიტეტის ექვსივე ფაკულტეტს აქვს.

სოციალურ ქსელში თითოეული „ინფო ცენტრის“ გვერდს რამდენიმე ადმინისტრატორი ჰყავს. ისინი თვითმმართველობის წევრები არიან და სტუდენტებს მათთვის საინტერესო ინფორმაციას აწვდიან.

ჩვენ იურიდიული ფაკულტეტის „ინფო ცენტრის“ ერთერთ ადმინისტრატორს ავთო სოფრომაძეს ვესაუბრეთ. „ჩვენი მიზანია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების ან ამ ფაკულტეტით დაინტერესე-

ბული ნებისმიერი პირის მაქსიმალური ინფორმირება უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებსა და სასწავლო პროცესზე. მათთვის ინფორმაციის წყარო ყოველთვის თსუ-ის ვებ-გვერდი ვერ იქნება, ზოგჯერ ის საკითხები, რომლებიც სტუდენტებს აინტერესებთ, ვებ-გვერდზე რთულად მისაგნებია ან საერთოდ არ დევს. ჩვენ კი მათ ჩვენ რამდენიმეწლიანი სტუდენტური გამოცდილებით ვეხმარებით“, — აღნიშნავს ავთო სოფრომაძე.

„ინფო ცენტრები“ ბევრ სტუდენტს მონონს და მას მათთვის საინტერესო კითხვაზე პასუხის მისაღებადაც არაერთხელ მიმართავენ.

მომზადდა სალომე ფსალავანი

№178/01-01

06.10.2014

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების დანიშვნის, წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრისა და საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„შმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-20 მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 56-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-9 პუნქტის, 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნის წესის შესახებ“ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბრის №96 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადის 2014 წლის 20 ოქტომბრისათვის ამოწურვასთან დაკავშირებით, დაინიშნოს აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნები 2014 წლის 21 ოქტომბერს, შემდეგ ფაკულტეტებზე:
 - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 2 წევრი;
 - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი - 2 წევრი;
 - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი - 2 წევრი;
 - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 2 წევრი;
 - იურიდიული ფაკულტეტი - 2 წევრი;
 - მედიცინის ფაკულტეტი - 2 წევრი;
 - ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი - 2 წევრი;
- განისაზღვროს საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
 - ინეზა გაგნიძე - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
 - ნინო დურგლიშვილი - სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
 - ირაკლი კობახიძე - იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
 - რამაზ ხომერიკი - ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
 - ვალერიან რამიშვილი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
 - ჯენარა ქრისტესაშვილი - მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
 - ეკატერინე ფირცხალავა - ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
 - დემეტრე ეგვატაშვილი — იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, ფაკულტეტის დეკანის აპარატის უფროსი;

- გიორგი ამირანაშვილი — იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაციისა და სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი სპეციალისტი.
- საარჩევნო კომისიას დაევალოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 21 ოქტომბრის არჩევნების დადგენილ ვადებში, მოქმედ კანონმდებლობასა და შესაბამისი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობაში ჩატარება.
- საარჩევნო კომისიის წევრებს შესრულებული სამუშაოსათვის მიეცეთ ანაზღაურება კანონმდებლობით დადგენილი წესით, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.
- არჩევნების საორგანიზაციო (ტექნიკური) ხარჯების ანაზღაურება (საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი წერილობით მოთხოვნის საფუძველზე) განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 8 ოქტომბერს და დასრულდეს 2014 წლის 15 ოქტომბერს 18:00 საათზე.
- კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №1, უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, ოთახი №114.
- კომისიის სამუშაო ოთახი განთავსებულია მისამართზე: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №3, უნივერსიტეტის მე-2 კორპუსი, ოთახი №245.
- ბრძანების ცველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
- ინფორმაციის უნივერსიტეტის გაზეთ - „თბილისის უნივერსიტეტი“ გამოქვეყნების უზრუნველყოფა დაევალოს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორს ნინო კაკულიას.
- ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
- ბრძანების შესასრულებლად გადაეცემა მასში მოყვანილ დაინტერესებულ პირთათვის დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
- ბრძანება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით - გამოქვეყნებისთანავე.
- კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დავით ჩომახიძეს.
- წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრებული იქნას კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

ვლადიმერ პაპავა
რექტორი, პროფესორი
აკადემიკოსი





აკადემიური და ნარმომადგენლოვითი საბჭოები უნივერსიტეტის X კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე გაზგასამართი სადგურის მშენებლობას გეგმენ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და ნარმომადგენლოვითი საბჭოები ერთობლივ განცხადებას ავრცელებენ. დოკუმენტი, რომელსაც თსუ-ის ორივე მთავარმა მართვის ორგანომ ერთხმად დაუჭირა მხარი, თსუ-ის X კორპუსის (მაღლივი) ტერიტორიაზე გაზგასამართი სადგურის მშენებლობის პროტესტს უკავშირდება. აკადემიური საზოგადოება ხელისუფლებას მოუწოდებს, რომ აღნიშნულ ადგილზე გაზგასამართი სადგურისა და სასაფლაოს ნაცვლად რამდენიმე სასწავლო კორპუსის, სპორტული კომპლექსების, კულტურის ცენტრების, სტუდენტთა აშენება შეიძლება, რაც საქართველოში განათლების

მდგრად განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

„უნივერსიტეტმა კიდევ ერთხელ აჩვენა საზოგადოებას, რომ ერთიანია იმ საკითხების მიმართ, რომელიც უნივერსიტეტის დღევანდელ დღეს, მის მომავალსა და განვითარებას ეხება. მაღლობა ამისთვის. შეუძლებელია ყველა საკითხზე ერთიანი აზრი იყოს, მაგრამ მიხარია, როდესაც ასეთი ერთსულოვნება უნივერსიტეტის მომავალთან დაკავშირებით“, — აღნიშნა რექტორმა ლადო პაპავამ.

თსუ-ის აკადემიური საბჭოსა და ნარმომადგენლოვითი საბჭოს განცხადებას ხელისუფლების მხრიდან ჯერჯერობით გამოხმაურება არ მოჰყოლია.

თსუ-ის სტუდენტები 20 ოქტომბერს საპროტესტო აქციას გამართავენ



აკადემიური და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან 20 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები საპროტესტო აქციას გამართავენ.

როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტმა და აქციის ერთერთმა ორგანიზატორმა, ლევან ლორთქიფანიძემ განაცხადა, სტუდენტები უნივერსიტეტიდან ეკონომიკის სამინისტროსკენ მსვლელობას გამართავენ, რომელიც სამინისტროსთან აქციით დასრულდება.

ლევან ლორთქიფანიძის თქმით, სტუდენტები უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე მშენებარე გაზგასამართი სადგურისთვის ალტერნატიული ფართის გამოყოფას მოითხოვენ.

„სამინისტროს დღემდე გაზგასამართი სადგურისთვის ალტერნატიული ფართი არ გამოუყვია. უნივერსიტეტის მიმდებარე კი სასწავლო და სამეცნიერო პროცესისთვის შეუფერებელი ობიექტები არ უნდა შენდებოდეს“, — აღნიშნა ლევან ლორთქიფანიძემ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და ნარმომადგენლოვითი საბჭოების განცხადება თსუ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე უნივერსიტეტისათვის შეუფერებელი ობიექტების მშენებლობასა და გაზგასამართი სადგურის მშენებლობის შესახებ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ბოლო პერიოდში სხვადასხვა პრობლემურ საკითხს მიაპყრო საზოგადოების ყურადღება. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და თბილისის მერიასთან ინტენსიური თანამშრომლობის შედეგად გარკვეული საკითხები უკვე გადაიჭრა. ვიმედოვნებთ, თბილისის მერიისა და მერის, ბატონ დავით ნარმანიას, უშუალო მხარდაჭერით თსუ-ის მე-10 (მაღლივი) კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე აღარ გაიხსნება ახალი სასაფლაო და მოგვარდება გაზგასამართი სადგურის მონყოფა-მშენებლობასთან დაკავშირებული პრობლემა.

უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე გაზგასამართი სადგურის მშენებლობა საჯაროდ გააპროტესტა. სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების თხოვნით ამ საკითხთან დაკავშირებით მან თბილისის მერს, ბატონ დავით ნარმანიას მიმართა. რექტორმა აღნიშნა, რომ გაზგასამართი სადგურის გახსნა არა მხოლოდ მიუღებელია საუნივერსიტეტო სივრცისათვის, არამედ სახიფათოც. ვინაიდან ეს ტერიტორია არ არის უნივერსიტეტის საკუთრება და თსუ ვერ განკარგავს ამ ადგილის შემდგომ განაშენიანებას, ქალაქის მერიამ და ხელისუფლებამ უნდა იზრუნონ ამ საკითხზე და არ დაუშვან თსუ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე უნივერსიტეტისთვის შეუფერებელი ობიექტის მშენებლობა და გახსნა. გასათვალისწინებელია და არანაკლებ საყურადღებოა პრობლემის ეთიკური მხარეც — მსოფლიოში ვერც ერთი სასწავლო დაწესებულების გვერდით ვერ ნახავთ მსგავსი დანიშნულების ობიექტს. ამ განცხადებას მოჰყვა მთავრობისა და მერიის ნარმომადგენლების კომენტარები იმის შესახებ, რომ შემოაღნიშნული გაზგასამართი სადგურის მშენებლობა ნებადართული ნორმების ფარგლებში მიმდინარეობს.

თბილისის მერს მივნიშნა ინფორმაცია, როგორ შეიძლება ამ ტერიტორიის მიზანმიმართული ათვისება, კერძოდ, აქ შეიძლება გაიხსნას ახალგაზრდული ცენტრი და დაიწყოს თსუ-ში დიდი ხნის წინ ჩაფიქრებული პროექტის — საუნივერსიტეტო ქალაქის მშენებლობა. თბილისის მერთან გაგზავნილ წერილს დანართის სახით ახლდა პროექტი, რომლის მიხედვითაც მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე ჯერ კიდევ შესაძლებელია რამდენიმე სასწავლო კორპუსის, სპორტული კომპლექსის, სტუდენტთა კულტურის ცენტრისა და სხვა ნაგებობების მშენებლობა.

მაღლივი კორპუსის გვერდით გაზგასამართი სადგურის მშენებლობა აქტიურად გააპროტესტეს თსუ-ის სტუდენტებმა.

იმედია გვაქვს, რომ საქართველოს მთავრობა და თბილისის მერია გამოიჩინენ გულსხმიერებას, დროულად მიიღებენ გადაწყვეტილებას ახალგაზრდა თაობისა და სამეცნიერო საზოგადოების სასარგებლოდ, არ დაუშვებენ თსუ-ის მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე უნივერსიტეტისათვის შეუფერებელი და სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის საფრთხის შემცველი ობიექტების გახსნას.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო,
ნარმომადგენლოვითი საბჭო

„სტუდენტური ფორუმი“ პროექტების განხორციელებას რეგონიზაციის ინცხებს



როსტომ ლეჟავა

„გვინტერესებს — რა ვითარებაა რეგიონებში. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონში ცვლილებები გასულ წელს შევიდა, შესაბამისად, გვინდა — შევისწავლოთ, თუ როგორ სორცელებდა იგი პრაქტიკაში. პირველად ახალციხეს ვენვებით, შემდეგ თელავსა და ქუთაისს. ჯერ ზუსტად არ ვიცით, რა მიმართულებით შევთავაზებთ თვითმმართველობებს ჩვენს დახმარებას — როდესაც მათ პრობლემებს გავიგებთ, ყველაფერს შემდეგ გადავწყვეტთ. შესაძლებელია ბრიფინგის გამართვა და ფართო საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება და ა.შ. თელავში გვინდა სტუდენტებისთვის, თსუ-ის პროფესორების დახმარებით, ლექცია-სემინარები გავმართოთ, რადგან, უკვე ვიცით, რომ თელავის უნივერსიტეტში ახალგაზრდები აკადემიური პერსონალის ნაკლებობაზე საუბრობენ. ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართულებით კი ადგილზე ვნახავთ — გაიხსნა თუ არა და როგორ ფუნქციონირებს ახალგაზრდული ცენტრები, რომლებიც საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად უნდა ჩამოყალიბებულიყო“, — განაცხადა „სტუდენტური ფორუმი“ ერთერთმა დამფუძნებელმა როსტომ ლეჟავამ.

პროექტში მონაწილეობის მისაღებად 50 სტუდენტი სამოტივაციო წერილებისა და CV-ის საფუძველზე შეირჩევა.

მომზადდა ნატო ოპოლაქემ





აკადემიური საბჭოს არჩევნები — 2014

წევრობის კანდიდატები

მხარს დავუჭარ ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც გაააღწვილებს ტენდერით გამომწვეულ სირთულეებს

გვესაუბრება თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, აკადემიკოსი **შოთა სამსონია**:

— თქვენი აზრით, რატომ უნდა დავიჭიროთ მხარი ფაკულტეტის აკადემიურმა პერსონალმა აკადემიური საბჭოს არჩევნებზე და რის გაკეთებას აპირებთ აკადემიური საბჭოს წევრად არჩევის შემთხვევაში?

— ვფიქრობ, რომ თსუ-ის აკადემიური საბჭოს წევრად არჩევის შემთხვევაში, შევძლებ გავახიზო და დავიცვა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური და დამხმარე პერსონალის, ასევე ფაკულტეტში შემავალი დეპარტამენტების სამართლიანი ინტერესები, როგორც სასწავლო, ასევე სამეცნიერო საქმიანობის მიმართულებით.



შოთა სამსონია დაიბადა 1941 წლის 24 იანვარს. 1958 წელს ოქროს მედლით დაამთავრა თბილისის მე-60 საშუალო სკოლა;

1958-1963 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო 1964-1967 წლებში — მოსკოვის მენდელეევის სახელობის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც 1967 წელსვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია;

1970 წლიდან იყო თსუ-ის დოცენტი;

1974-1976 წლებში სწავლობდა მოსკოვის მენდელეევის სახელობის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტის დოქტორანტურაში. აქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია 1984 წელს;

1985 წლიდან არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

2001 წლიდან — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ხოლო 2013 წლიდან — აკადემიკოსი;

შოთა სამსონიას მიღებული აქვს ჯილდოები და პრემიები: 1980 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პეტრე მელიქიძის სახელობის სამეცნიერო პრემია; 1986 წელს — საბჭოთა კავშირის გამომგონებლის მედალი; 1991 წელს — ივ. ჯავახიშვილის მედალი; 1997 წელს — ღირსების მედალი, 2012 წელს — საქართველო მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პეტრე მელიქიძის სახელობის აკადემიური პრემია, 2013 წელს — ღირსების ორდენი;

აკადემიური საბჭოს წევრად არჩევის შემთხვევაში, პირველ რიგში, ვაპირებ აკადემიური საბჭოს წევრის მოვალეობის შესრულებას — ეს არის აქტიური მონაწილეობა იმ საკითხების დამუშავებაში, რომლებიც აკადემიური საბჭოს სახელით დადგენილებების სახით გამოდის.

მხარს დავუჭარ ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც გაააღწვილებს ტენდერით გამომწვეულ სირთულეებს. ამის საუკეთესო მაგალითია ტენდერისაგან ქიმიური რეაქტივების შექმნის გათავისუფლება, რომელმაც დიდი შვება მოუტანა მრავალი პროექტის შემსრულებელს. შევეცდები, რომ უნივერსიტეტის სივრცეში, სამეცნიერო კვლევების არსებული გრანტული დაფინანსების პარალელურად, შემოვიდეს პროგრამული დაფინანსებაც.

— რა პოზიცია გეჭირათ მაშინ, როცა უნივერსიტეტმა ავტონომია დაკარგა?

ლის მედალი; 1997 წელს — ღირსების მედალი, 2012 წელს — საქართველო მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პეტრე მელიქიძის სახელობის აკადემიური პრემია, 2013 წელს — ღირსების ორდენი;

2006 წლიდან დღემდე არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანული ქიმიის ქვემომართულების ხელმძღვანელი, 2009 წლიდან ამავე ფაკულტეტის ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, ხოლო 2012 წლიდან — ქიმიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის მიმართულების დარგობრივი სექციის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე;

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მაცნეს“ (ქიმიის სერია) რედკოლეგიის წევრი;

თსუ შრომების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიურ საბჭოსთან არსებული ეკოლოგიური უსაფრთხოების კომისიის წევრი;

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიურ საბჭოსთან არსებული ნავთობქიმიურ საკითხთა დროებითი დარგ-

ობრივი საექსპერტო კომისიის წევრი; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილების დარგობრივი კომისიის „ფარმაკოქიმიის“ თავმჯდომარის მოადგილე და დარგობრივი კომისიის „ქიმიის“ თავმჯდომარე;

მისი სამეცნიერო ინტერესებია: ორგანული ქიმიის (აზოტმემცველი პეტროციკლურ ნაერთთა ქიმიის, ინდოლისა და ადამანტანის ფრაგმენტების შემცველი ნაერთები); ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის (ალკალიოიდები); მაკრომოლეკულების ქიმიის, მათ შორის ბიოლოგიურად აქტიური პოლიმერები; ფოტოქიმიის (ბის-სპირონაერთები); ნავთობქიმიური სინთეზი.

1971 წლიდან დღემდე განახორციელა საერთაშორისო და ეროვნული სამეცნიერო ფონდების 20-მდე გრანტი. მათ შორის: ერთობლივი პროექტი აშშ ინფექციურ დაავადებათა სახედადრო-სამედიცინო ინსტიტუტთან (ქ. ბეტესტა, 2010-2012 წწ.); ერთობლივი პროექტი იენის ჰანს-კნოელის ბუნებრივ ნაერთთა კვლევის ინსტიტუტთან (გერმანია) (1999-2006 წწ.); საბერძნეთის სამეცნიერო გრანტი (თესალონიკის უნივერსიტეტთან ერთად) (2003-2005 წწ.); 1999-2005 წლებში გაფორმებული ჰქონდა კონტრაქტი სამედიცინო ფირმასთან



ZENTARIS GmbH (ფრანკფურტი, გერმანია), „პეტროციკლურ ნაერთთა სკრინინგი“;

1996-2000 წლებში განახორციელა გერმანიის სამეცნიერო საზოგადოების (Deutsche Forschungsgemeinschaft) პროექტი "436 GEO 113/3/0-2 R/S". თემა: „ფოტოქიმიის, სპირონაერთების, საარბრუკენის უნივერსიტეტთან ერთად; ფლობდა სოროსის პროფესორის სტიპენდიას (1995-1999 წწ.) და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების ინდივიდუალურ გრანტს (ISF, ჯ. სოროსი), 1994 წ.); შოთა სამსონიას მეცნიერ-ხელმძღვანელობით მომზადებულია და დაცულია 36 სადისერტაციო ნაშრომი, მათ შორის: 28 მეცნიერებათა კანდიდატის, 2 ქიმიის აკადემიური დოქტორის. იყო ქიმიის მეცნიერებათა 6 დოქტორის მეცნიერ-კონსულტანტი.

გამოქვეყნებული აქვს 576 პუბლიკაცია ქიმიის დარგში, მათ შორის: 30 ნიგნი, მონოგრაფია, სახელმძღვანელო; 18 პატენტები და საავტორო მოწმობა გამოგონებებზე; 285 სამეცნიერო სტატია (139 საერთაშორისო და საზღვარგარეთის, ხოლო 147 საქართველოს სამეცნიერო ჟურნალებში) და 245 კონფერენციის თეზისი (172 საერთაშორისო და საზღვარგარეთის, ხოლო 73 რესპუბლიკური).

არის ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

მოგაპალო აკადემიურმა საბჭომ უფრო გლობალურ საკითხებზე უნდა იმუშაოს



გვესაუბრება თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი **როლანდ მანანაძე**:

— თქვენი აზრით, რატომ უნდა დავიჭიროთ მხარი ფაკულტეტის აკადემიურმა პერსონალმა აკადემიური საბჭოს არჩევნებზე და რის გაკეთებას აპირებთ აკადემიური საბჭოს წევრად არჩევის შემთხვევაში?

— არჩევნებზე ალბათ აკადემიური პერსონალის ნაწილი დამიჭერს მხარს, ნაწილი კი

— არა. თქვენ ფიქრობთ, რომ მე ჩემს ღირსებებს ან დაპირებებს ჩამოვთვლი? ცხადია არა. ფაკულტეტის კოლექტივი გონიერი და მრავალმხრივ გამოცდილია, მისი წევრები კარგად ვიცნობთ ერთმანეთს. ამიტომ დარწმუნებული ვარ, ეს კოლექტივი აუცილებლად სწორ არჩევანს გააკეთებს.

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო არის კოლეგიური, საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობის მართვის უმაღლესი ნარმომადგენლობითი ორგანო, ამიტომ მისი წევრობა საპატიო და უაღრესად საპასუხისმგებლოა. მე სტუდენტებიდან პროფესორობამდე მთელი გზა უნივერსიტეტში გავიარე. რაც კარგი ხდება უნივერსიტეტში, ძალიან მახარებს, ცუდი კი მეტისმეტად მაღელვებს, რადგან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩვენთვის, ქართველებისთვის, ბევრად მეტია, ვიდრე თუნდაც მაღალი რანგის სასწავლო დაწესებულება. დარწმუნებული ვარ, რომ აკადემიური საბჭოს აქტიურ შემადგენლობას ბევრი კარგის გაკეთება შეუძლია უნივერსიტეტისთვის.

აკადემიური საბჭოს წევრად არჩევის შემთხვევაში უნივერსიტეტისთვის საჭირო ყოველ გადაწყვეტილებას მივიღებ აუქტარებლად, ღრმა ანალიზისა და ლოგიკური დასკვნების საფუძველზე. ამასთანავე, არჩევის შემთხვევაში, როგორც ჩემი ფაკულტეტის ნარმომადგენელი, დავიცავ მის ინტერესებს და, რა თქმა უნდა, ღირსებას.

ამ ეტაპზე, მიზანშეწონილად მიმაჩნია მომავალმა აკადემიურმა საბჭომ განიხილოს უფრო გლობალური საკითხები:

- 1) უნივერსიტეტისთვის საბაზო დაფინანსების მოპოვების მიზნით სათანადო მექანიზმის შემუშავება;
- 2) უნივერსიტეტის ფინანსური რესურსების გადანაწილების ოპტიმალური ვარიანტის შემუშავება;
- 3) საუნივერსიტეტო სამეცნიერო ფონდის წესდების შემუშავება;
- 4) შემოერთებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომელთა სასწავლო პროცესში ჩართვის მექანიზმის შემუშავება.

— რა პოზიცია გეჭირათ მაშინ, როცა უნივერსიტეტმა ავტონომია დაკარგა?

— უნივერსიტეტმა ავტონომია დაკარგა? როგორ დაკარგავდა იმას, რაც არ ჰქონია? მე ჩვენი უნივერსიტეტის ავტონომია არ მახსოვს, ყოველ შემთხვევაში უნივერსიტეტში ჩემი ყოფნის განმავლობაში. რაც შეეხება ჩემს პოზიციას, რა თქმა უნდა, ყოველთვის უარყოფით დამოკიდებულებას ინვესტაცია სახელმწიფოს მხრიდან უნივერსიტეტის შიდა საქმეებში აქტიური ჩარევა. ამ მხრივ ახლა უკეთესი სიტუაციაა. თუმცა უნივერსიტეტს სრულფასოვანი ავტონომია, ჩემი აზრით, მხოლოდ მაშინ ექნება, როცა საქართველო ევროპული ტიპის სახელმწიფო გახდება.



როლანდ მანანაძე დაიბადა 1950 წლის 7 ივლისს.

1971 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი; 1974 წელს ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურა;

1981 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტში;

1994 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ნოვოსიბირსკის სობოლევის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში;

1975-1977 წლებში იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კავშირგაბმულობის ფაკულტეტის უმცროსი მეცნიერთანამშრომელი;

1977-2006 წლებში მუშაობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში: უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად (1977-1983 წლებში), უფროს მეცნიერ-თანამშრომლად (1983-1994 წლებში) და წამყვან მეცნიერ-თანამშრომლად (1994-2006 წლებში);

2006 წლიდან დღემდე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი და მათემატიკური ლოგიკისა და დისკრეტული სტრუქტურების მიმართულების ხელმძღვანელია.

მე-5 გვირგვინი



აკადემიური საბჭოს არჩევნები — 2014

წევრობის კანდიდატები

მეოთხე გვერდიდან

სხვადასხვა დროს იყო მინვესტიური მომხსენებელი რამდენიმე საერთაშორისო კონფერენციაზე, მათ შორის: 1992 წელს საერთაშორისო კონფერენციაზე მათემატიკურ ლოგიკაში (ყაზანი); 1997 წელს — საერთაშორისო კონფერენციაზე ალგებრასა და მათემატიკურ ლოგიკაში (ნოვოსიბირსკი); 2004 წელს ყაზანის უნივერსიტეტის 200

წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციაზე ალგებრასა და ანალიზში; 2014 წელს საერთაშორისო კონფერენციაზე ალგებრასა და მათემატიკურ ლოგიკაში (ყაზანი); მონაწილეობდა 2011 წელს ბარსელონაში გამართულ Logic Colloquium-ის მუშაობაში.

ჩართული იყო რამდენიმე საერთაშორისო სამეცნიერო გრანტში;

2002 წელს ექვსი თვით იმყოფებოდა სიე-

ნას (იტალია) უნივერსიტეტში NATO-CNR-ის პროგრამით; წყვილში მუშაობის პროგრამით სამჯერ, თითო თვით იმყოფებოდა ობერვოლფახის (გერმანია) მათემატიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (2005 წ., 2006 წ. და 2009 წ.);

მის სამეცნიერო ინტერესებშია: გამოთვლადობის (რეკურსიის) თეორია; მათემატიკური ლოგიკა; მესერთა თეორია; სიმრავლეთა თეორია; უნივერსალური ალგებრა.

არის 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, რომელთა დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში.

არის საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის წევრი; Association of Symbolic Logic-ის წევრი (2007 წლიდან); Association of Computability in Europe-ს წევრი (2003 წლიდან); საერთაშორისო ჟურნალების: Mathematical Reviews და Zentralblatt MATH-ის რეცენზენტი.

აკადემიურ საბჭოში ჩემი მოღვაწეობით ხელს შევუწყობ უნივერსიტეტში ჰელმწიფოებრივი და სამეცნიერო საქმიანობის ამაღლებას

გვესაუბრება თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი, გენეტიკის კათედრის გამგე, თსუ-ის გენეტიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელი **თეიმურაზ ლეჟავაძე**:

— თქვენი აზრით, რატომ უნდა დაეიჭიროთ მხარი ფაკულტეტმა აკადემიური საბჭოს არჩევნებზე და რის გაკეთებას აპირებთ აკადემიური საბჭოს წევრად არჩევის შემთხვევაში?

— თუ განიხილავთ და გაეცნობიან ჩემს მონაცემებს, ნახავთ, რომ იქ არის აღნიშნული ჩემი წარმატებული მოღვაწეობა როგორც პედაგოგიურ-სამეცნიერო, ისე საორგანიზაციო კუთხით. ჩამოვყალიბებ „ბიოსამედიცინო ეკოლოგიური გენეტიკის“ სპეციალობა. მიზანი იყო ბიოლოგ და ექიმ გენეტიკოს სპეციალისტთა მომზადება, რომელთა საქმიანობაც მიმართული იქნებოდა „გენეტიკური ტვირთის“ პათოლოგიათა სისხლის ზრდის შესაჩე-

რებად; მაქვს გამოცდილება უცხოურ უმაღლეს სასწავლებლებში სალექციო და პრაქტიკული საქმიანობისა (რუსეთი, ბელგია); შევექმენი კვლევითი ლაბორატორიები, საერთაშორისო სიმპოზიუმები; საერთაშორისო კონგრესებზე მონაწილეობისას გავეცანი საერთაშორისო სამეცნიერო კვლევით დონეს. აქტიურად ვმონაწილეობ საერთაშორისო საგრანტო პროექტებში, ვაქვეყნებ ნაშრომებს იმპაქტ-ფაქტორიან ე.წ. ტოპ-ჟურნალებში.

შესაბამისად, ჩამოყალიბებული მაქვს ხედვა, თუ როგორ უნდა განვითარდეს ჩვენთან პედაგოგიური საქმიანობა და ამაღლდეს სამეცნიერო პოტენციალი. მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო, რომ მეცნიერების განვითარების გარეშე ჩვენი ქვეყნის წინსვლა შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ სკოლიდანვე უნდა დავიწყოთ ზრუნვა და ახალგაზრდები ჯერ კიდევ მოსწავლეობის პერიოდში დაავაინტერესოთ მეცნიერებით.

მიმაჩნია, რომ უნივერსიტეტში სტუდენტი პირველივე კურსიდან უნდა ჩაერ-

თოს სამეცნიერო კვლევებში. უნივერსიტეტში აუცილებელია ლაბორატორიები ალიტურვის თანამედროვე ტექნიკური აპარატურით, რის გარეშეც სამეცნიერო კვლევების წარმოება დღეს წარმოუდგენელია.

აკადემიურ საბჭოში ჩემი მოღვაწეობით ხელს შევუწყობ უნივერსიტეტში პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის ამაღლებას, თეორიული და პრაქტიკული სწავლების შერწყმას.

— რა პოზიცია გეჭირათ მაშინ, როცა უნივერსიტეტმა ავტონომია დაკარგა?

— არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რა პოზიცია მეჭირა რომელიმე ეტაპზე, რადგან, სამწუხაროდ, ჩემი პროტესტის მიუხედავად, არაფერს შევძლებოდა. არასოდეს უცდიათ, რომ გამოეყენებინათ ჩემი გამოცდილება. ჩემთვის ცხოვრების ყველა ეტაპზე მთავარი იყო ინტენსიური სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა, რისი შედეგიც არის ჩვენი სპეციალობით კურსდამთავრებულთა გამორჩეულად წარმატებული მოღვა-



წეობა პროფესორის რანგით იაპონიის, ამერიკის, ესპანეთის, ინგლისის, გერმანიის და სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებში. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ უნივერსიტეტის წინსვლის მთავარი განმსაზღვრელი არის ავტონომიურობის დაცვა.



თეიმურაზ ლეჟავამ საშუალო სკოლა 1957 წელს დაამთავრა ოქროს მედლით.

1957-1963 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბიოლოგიის ფაკულტეტზე;

1963-1968 წლებში იყო საკავშირო აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტის და შემდგომ საკავშირო სამედიცინო აკადემიის მორფოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტი;

1968 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია (ქ. თბილისში) სპეციალობით — გენეტიკა;

1984 წელს სანკტ-პეტერბურგში (მაშინდელი ლენინგრადი) დაიცვა სადოქტორო დისერტაცია;

იგი 1968-1969 წლებში იყო საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ჟორდანის სახელობის ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის ინსტიტუტის გენეტიკის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი; 1969-1970 წლებში — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (ცსსლ) ციტოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ხოლო შემდეგ — გენეტიკის განყოფილების გამგე;

1975 წლიდან დღემდე არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენეტიკის კათედრის გამგე; ხოლო 2011 წლიდან დღემდე — გენეტიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელი;

არის 8 სახელმძღვანელოს და 3 მონოგრაფიის ავტორი;

პროფესორ თეიმურაზ ლეჟავას ხელმძღვანელობით მიმდინარეობს ადამიანის გენომის კვლევები ნორმასა და პათოლოგიათა შემთხვევებში, განსაკუთრებით დაბერების გენეტიკაში. მის მიერ შექმნილია დაბერების გენეტიკური თეორია (Chromosome and aging: genetic conception of aging. Biogerontology, 2, 253-260, 2001), რო-

მელიც სამ აღმოჩენას მოიცავს:

პირველი: დადგინდა, რომ დაბერების პროცესში ქრომატინის მოდიფიკაცია პირველადია მუტაციებსა (ხარისხობრივი დაბერების) და რეპარაციასთან (აღდგენის) მიმართებაში, რაც სიცოცხლის განმავლობაში და დაბერების პათოლოგიების აცილების საშუალებას ქნის.

დაბერების გენეტიკური თეორია და დაბერების პერიოდში ქრომატინის მოდიფიკაციის პროცესი ფართოდ არის გაშუქებული ამერიკის უფროსი მეცნიერი დაბერების პროცესში ქრომატინის რემოდელირებისა, რაც, თავის მხრივ, დაბერების განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს (Vaguero et al., The constantly Changing Face of Chromatin. Review, SAGE KE, 2003/14/re4, 1-16).

მეორე: პროფ. თეიმურაზ ლეჟავას მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე პირველად დადგინდა აგრეთვე, რომ რიგი სინთეზური პეპტიდური ბიორეგულატორების (დი- და ტეტრა-პეპტიდები) მოქმედებით შესაძლებელია დაბერების პროცესში მოდიფიცირებული ქრომატინის გახსნა, რაც ჩაკეტილ გენთა გამოთავისუფლების წინაპირობაა და, შესაბამისად, გენთა აქტივობის კორექცია დაბერების პათოლოგიების აცილებისა და მკურნალობის საშუალებას ქნის.

მესამე: თეიმურაზ ლეჟავას მიერ აგრეთვე ნაჩვენებია, რომ პეპტიდური ბიორეგულატორებისა და მძიმე მეტალების კომბინირებული ზემოქმედებით შესაძლებელია დამოკლებული ტელომერის ნორმალზაცია, რაც მნიშვნელოვანია გულ-სისხლძარღვთა, ავთვისებიანი სიმსივნეებისა და სხვა პათოლოგიების შემთხვევებში (როდესაც ტელომერები მნიშვნელოვნად დამოკლებულია) და შესაძლებლობას იძლევა დაისახოს გზები ამ

პათოლოგიათა განკურნებისათვის.

მას გამოქვეყნებული აქვს 133 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 20 პუბლიკაცია Springer-სა და Elsevier-ის იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში და ნიგნში — „Senescence“ Edited by Tetsuji Nagata, Chapter 26, 631-646, 2012

2006 წელს აშშ-ში გამოაქვეყნა მონოგრაფია: Teimuraz Lezhava, Human Chromosomes and Aging: From 80 to 114. Nova Biomedical, New York, -177, 2006 /https://www.novapublishers.com/catalog/product_info.php?products_id=4284

მისი ციტირების ინდექსი 2013 წლისთვის არის 254;

პროფესორ თეიმურაზ ლეჟავას ხელმძღვანელობით მომზადდა 19 საკანდიდატო დისერტაცია (მათ შორის ერთი უცხოელის (მუხტარ მუხამედ ზავახრი (ეგვიპტე) და 2 სადოქტორო დისერტაცია); პროფესორი თეიმურაზ ლეჟავა არის მინვესტი, როგორც მომხსენებელი/დელეგატი 2014 წლის კონგრესებზე (4th World Congress on Cancer Science & Therapy 2014, Chicago, USA; 2nd Annual World Congress of Geriatrics and Gerontology 2014 (WCGG-2014), China, 2014 (ნაშრომის წინასწარი მოთხოვნის გარეშე).

2005-2013 წლებში პროფესორ თეიმურაზ ლეჟავამ მიიღო მონაწილეობა, როგორც მომხსენებელმა თერთმეტ საერთაშორისო კონგრესსა და ერთ სიმპოზიუმში. გერონტოლოგთა და გერიატრთა მსოფლიო კონგრესებზე (რიო-დე-ჟანეირო (ბრაზილია; 2005წ.) და სეული (კორეა; 2013 წ.) პროფესორმა თეიმურაზ ლეჟავამ დაწერა სიმპოზიუმი „Chromosomes and Aging“.

ერთობლივი სამეცნიერო სამუშაოები შესრულებული აქვს არაერთ უცხოურ სამეცნიერო ცენტრთან (აშშ, იაპონია, რუსეთი). 2014 წლისთვის მონაწილეობს 3 საგრანტო პროექტში, მათ შორის 2 უცხოური;

თეიმურაზ ლეჟავას ხელმძღვანელობით დაარსდა საერთაშორისო სიმპოზიუმი — „დაბერების ციტოგენეტიკა“ (ჩატარდა





აკადემიური საბჭოს არჩევნები — 2014

წევრობის კანდიდატები

მესუთე გვერდიდან

ხელს შევუწყობ უნივერსიტეტი სართავობის სტანდარტების დანერგვასა და წამოწევის

გვესაუბრება თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასტროფიზიკის მიმართულების პროფესორი; თსუ-ის ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის პლაზმის ფიზიკის განყოფილების უფროსი მეცნიერთანამშრომელი **ნანა შათაშვილი**:

— თქვენი აზრით, რატომ უნდა დაეჭიროთ მხარი ფაკულტეტის აკადემიურმა პერსონალმა აკადემიური საბჭოს არჩევნებზე და რის გაკეთებას აპირებთ აკადემიური საბჭოს წევრად არჩევის შემთხვევაში?

— ვფიქრობ, კოლეგები კარგად იცნობენ ჩემს აქტივობას და მოღვაწეობას ჩემი ფაკულტეტის და, კერძოდ, ფიზიკის, და ზოგადად, ფუნდამენტური სამეცნიერო დარგის საკუთარდღედ, რადგან ყოველთვის ვიყავი საფაკულტეტო საბჭოს წევრი. ასე მგონია, რომ სჯერათ ჩემი შემდგომი ნაბიჯებისა.



ნანა შათაშვილი დაიბადა 1959 წელს. 1975 წელს ოქროს მედლით დაამთავრა თბილისის 57-ე საშუალო სკოლა;

1980 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სრული 5-წლიანი კურსი;

1972-1976 წლებში სწავლობდა თბილისის კონსერვატორიის III სამუსიკო სკოლასთან არსებული საერთო განათლების სამუსიკო სკოლაში (ამაღლებული ტიპის) ფორტეპიანოს განხრით.

1980-1984 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის ასპირანტურაში სპეციალობით „თეორიული ფიზიკა“.

1986 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „კინეტიკური ეფექტების ზეგავლენა ლენგმიურის ტალღების არანრფივი დინამიკაზე“ და მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი;

2005 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „მაგნიტო-ჰიდროდინამიკური დინამიკები ორ-სიბიჯის პლაზმაში“ და მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1980 წლიდან მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სხვადასხვა დროს ხანგრძლივი დროით მუშაობდა, როგორც მიწვეული პროფესორი/მკვლევარი, უცხოეთის წამყვან სამეცნიერო ცენტრებსა და სასწავლო დაწესებულებებში, სადაც ჩართული იყო ყველა საუნივერსიტეტო თუ სამეცნიერო აქტივობაში (ხელმძღვანელობდა სტუდენტების სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომებს, კითხულობდა სალექციო კურსებს, იყო დაცვის კომისიების წევრი, თავმჯდომარე, მიჰყავდა სემინარები და ა.შ.). მათ შორის: ტოკიოს უნივერსიტეტში (The

University of Tokyo, იაპონია), ჩალმერსის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში (შვედეთი); აბდუს სალამის თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრში (Abdus Salam ICTP, ტრიესტი; იტალია); ალკალა დე ჰენარესის უნივერსიტეტში (მადრიდი; ესპანეთი); ბრიტანეთის კოლუმბიის უნივერსიტეტში (UBC, ვანკუვერი, კანადა).

2009 წლიდან დღემდე არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის პროფესორი, ხოლო 2013 წლიდან — ამავე დეპარტამენტის ასტროფიზიკის კათედრის გამგე;

2014 წლიდან არის საქართველოს განათლების განვითარების ეროვნული ცენტრის „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების შემუშავების“ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი;

მიღებული აქვს სხვადასხვა ჯილდო და სამეცნიერო პრემია, კერძოდ: 1977-78 წლებში ფლორდა რუსთაველის სტიპენდიას (თსუ); 1978-1980 წლებში — ლენინის სტიპენდიას (თსუ); 1993 წელს ფლობდა — The American Physical Society Grant (founded for FSU scientists / individuals; 1998-2010 წლებში — Regular Associate at The Abdus Salam International Centre for Theoretical Physics (ICTP), Trieste, Italy (renewal of award for the period of 2004-2009, extended till 31.12.2010). 2011-2016 წლებში — Senior Associate at The Abdus Salam International Centre for Theoretical Physics (ICTP), Trieste, Italy;

1995 წლიდან განხორციელებული აქვს 10-ზე მეტი სამეცნიერო საგრანტო პროექტი. მათ შორის:

2010-2012 წლებში — პროექტის სამეცნიერო დირექტორი და მენეჯერი, შოთა რუსთაველის სსფ SF/ST09-305-4-140 — თსუ-ის ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის პროექტი 1-4/16 - „დინებისა და გრიგალური სტრუქტურების დინამიკა და გენერაცია მრავალკომპონენტური პლაზმაში“;

2006-2009 წლებში იყო პროექტის ხელმძღვანელი და მენეჯერი საქართველოს ესფ GNSF/ST06/4-05 - ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის პროექტი 69/07 - „მონტეკარლო-სტრუქტურების ფორმირება და პლაზმური დინების გენერირება მაგნიტურად ჩაჭერილ პლაზმაში“.

თანამშრომლობს 10-მდე უცხოეთის სამეცნიერო ცენტრთან და უნივერსიტეტთან; იყო მინვეული მომხსენებელი არაერთ საერთაშორისო სიმპოზიუმსა და კონფერენციაზე. მათ შორის:

Invited Lecturer - Joint ICTP-IAEA College on Plasma Physics, August 18-29, 2014, AS ICTP, Trieste, Italy;

Invited Speaker - ICTP After 45 - Science and development for a changing world. Abdus Salam ICTP, 8-10 November, 2010, Trieste, Italy;

Invited Speaker - Workshop on Theoretical Plasma Physics (Flowing Plasma), ICTP, Trieste, Italy (2002) — ამ ვორკშოპზე მის მიერ კოლეგებთან ერთად შემოთავაზებული ვარსკვლავთა ატმოსფეროს გაცხელების თეორია აღიარებულია და მონონებულ იქნა მზის ფიზიკის ლიდერი თეორეტიკოსის — იუჯინ პარკერის (E. Parker) მიერ. სწორედ პარკერთან ხანგრძლივი სამეცნიერო დისკუსიის შემდეგ, მისივე შემოთავაზებით, შემდგომში აგებულ იქნა დინების აჩქარების/გენერაციის თეორია კოლეგებთან ერთად (იხ. ქვემოთ).

პროფესორ ნანა შათაშვილის ძირითადი სამეცნიერო ინტერესებია: თეორიული პლაზმური ასტროფიზიკა; არანრფივი მაგნიტური ჰიდროდინამიკა; მაგნიტო-სიბიჯური ბმების თეორია; მზის ფიზიკა; დისკი-ჯეტის სისტემების ფიზიკა; რელატივისტური პლაზმის დინამიკა; კომპაქტური ობიექტების ფიზიკა.

მახსოვს, თუმცა იყო გამონათებები, როცა იგი დამოუკიდებლად იღებდა გადაწყვეტილებებს. მაგალითად, ვიყავი იმ სტუდენტური აქციების მონაწილე, რომელმაც 1978 წელს ქართული ენა, როგორც სახელმწიფო ენა, დაიცვა და დაიბრუნა. მაშინ წინ გაგვიძღვა უნივერსიტეტის პრორექტორი გურამ ჭილაშვილი. ბედნიერი ვარ, რომ ახლა ასტროფიზიკის კათედრა თსუ-ის მეორე კორპუსში სწორედ მის კაბინეტში არის.

ალსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი დამოუკიდებელი იყო სწავლების სისტემის დანერგვაში. სწორედ იმ სისტემაში აღიზარდნენ გია დვალი, ჩემი ძმა — სამსონ შათაშვილი და მრავალი სხვა ღირსეული მოღვაწე, რომლებიც დღეს მსოფლიოში აღიარებული მეცნიერები არიან. თუმცა, ცხადია, უნივერსიტეტის ავტონომია უფრო ფართო ცნებაა. ამიტომ მიმაჩნია, რომ ავტონომიურობა ძირითად აკადემიურ საკითხებში ძალიან მნიშვნელოვანია და ამისთვის ყველაფერს გააკეთებ.



პროფესორ ნანა შათაშვილის მიერ შემოთავაზებული თეორიები და აღიარებული ძირითადი სამეცნიერო შედეგებია:

ვარსკვლავთა ატმოსფეროებში ჩაკეტილი სტრუქტურების ერთდროული ფორმირებისა და პირველადი გაცხელების და ასევე დინების აჩქარების/გენერაციის მაგნიტო-სიბიჯური ბმების განზოგადოებული თეორია [with S.M. Mahajan (IFS, Austin) & Z. Yoshida (Univ.Tokyo)]

დიდ-მასშტაბიანი მაგნიტური ველის გენერაციის თეორია მძლავრი გამოსხივებით [with S.M. Mahajan (IFS,Austin) & V.I. Berezhiani (TSU AIP)]

განზოგადოებული ბელტრამის დინების მოდელი დისკი-ჯეტის სისტემის ფორმირების უნივერსალური ბუნების ასახვად [with Z. Yoshida (Univ.Tokyo)];

ახალი მოდელი კინეტიკური ეფექტების გასათვალისწინებლად ძლიერად ტურბულენტურ პლაზმაში, კერძოდ მიღებულია და შემდგომ შესწავლილია/ამოხსნილია ახალი არანრფივი განტოლებათა სისტემები სხვადასხვა გარემოებისათვის არანრფივი ლანდაუს ჩაქრობის გათვალისწინებით [with N.L. Tsintsadze (TSU)].

გამოქვეყნებული აქვს 63 სამეცნიერო პუბლიკაცია, მათ შორის 40-მდე მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში;

არის არაერთი საერთაშორისო კონფერენციისა და თანამშრომლობის პროექტის თანაორგანიზატორი, ასევე მინვეული რეფერი (Invited referee) არაერთი მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალისა (Physics of Plasmas; Europhysics Letters; New Journal Physics; The Astrophysics journal; Applied PhysicsB);

არის საქართველოს ფიზიკოსთა საზოგადოების წევრი, თბილისის ებრაული სახლის თანადამფუძნებელი (2003 წელს).

კვლავ გავაგრძელებ ჩვენი სტუდენტებისა და პროფესორების ინტეგრაციის დაცვას

გვესაუბრება თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი **ნანა ბაზრინდაშვილი**:

— თქვენი აზრით, რატომ უნდა მოგცეთ ხმა ფაკულტეტის პროფესორებმა და სტუდენტებმა? რას გააკეთებთ გამარჯვების შემთხვევაში?

— ნანა არჩევნებზე ჩემმა ფაკულტეტმა მხარი დამიჭირა და პროფესორთა და სტუდენტთა 90%-ზე მეტმა მომცა ხმა, ალბათ, ჩემი ბიოგრაფიის, პიროვნული თვისებების, პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის გათვალისწინებით. ახლა ჩემი ფაკულტეტი უკვე მიცნობს როგორც აკადემიური საბჭოს წევრსაც, რომელსაც ამ საბჭოში მუშაობის ოთხწლიანი გამოცდილება აქვს. ვფიქრობ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი არჩევნებში მხარს დამიჭერს, რადგან მე მუდმივად მისი სტუდენტებისა და პროფესორების ინტერესების გამოამხატველი ვიყავი აკადემიური საბჭოში და არასოდეს გადამიდგამს ისეთი ნაბიჯი, რომელიც ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის ინტერესებს დაზარალებდეს.

აკადემიური საბჭოს წევრად არჩევის შემთხვევაში კვლავ გავაგრძელებ ჩვენი სტუდენტებისა და პროფესორების ინტერესების დაცვას და ხელს შევუწყობ გონივრული, პროგრესული საუნივერსიტეტო პოლიტიკის გატარებას როგორც სასწავლო, ასევე სამეცნიერო სფეროში.

— რა სამოქალაქო პოზიცია გქონდათ მაშინ, როცა რამდენიმე წლის წინ უნივერსიტეტმა დაკარგა ავტონომია და ხელისუფლების პოლიტიკის გამტარებელი გახდა?

— ჩემი ცხოვრება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს 17 წლის ასაკში პირველკურსელის სტატუსით დაუკავშირდა და ამის შემდეგ იგი ჩემი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. ჩემი სწავლისა და მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში უნივერსიტეტის ავტონომიის საკითხი ყოველთვის მტკივნეულად იდგა. რასაკვირველია, უნივერსიტეტი არ შეიძლება სახელმწიფო პოლიტიკიდან აბსოლუტურად იზოლირებულიდ არსებობდეს, თუმცა, ვფიქრობ, უნივერსიტეტებში აზრთა სხვადასხვაობა არასოდეს გამოუწვევია იმ საკითხს, რომ



მას უნდა ჰქონდეს ავტონომია და რომ მის ცხოვრებაში უხეში ჩარევა, მისთვის მიუღებელი იდეოლოგიის თავს მოხვევა დაუშვებელია.



ნანა გაფრინდაშვილი დაიბადა 1958 წლის 26 მაისს. 1980 წელს წარჩინებით დაამთავრა თსუ-ის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1985 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1993 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. იმ პერიოდში იგი თსუ-ის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა პროფესორი იყო.

ნანა გაფრინდაშვილი ამაჟამად თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი და თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელია. აქტიურად მონაწილეობს როგორც საფაკულტეტო, ასევე საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. ხელმძღვანელობს თარგმანის თეორიისა და მთარგმნელობითი პრაქტიკის სამაგისტრო პროგრამას, არის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის კოორდინატორი, არჩეულია ფაკულტეტის საბჭოს წევრად, კითხულობს ლექციებს, მუშაობს ახალ მონოგრაფიაზე, რომელიც რუსთაველის ფონდმა დააფინანსა.

აკადემიური საბჭოს არჩევნები — 2014

წევრობის კანდიდატები

არჩევნები გამარჯვება საშუალებას მომცემს — დანყებულ საქმე გავაგრძელო



გვესაუბრება თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი **რამაზ შურდაძე**:

— თქვენი აზრით, რატომ უნდა მოგცეთ ხმა ფაკულტეტის პროფესორებმა და სტუდენტებმა? რას გააკეთებთ გამარჯვების შემთხვევაში?

— აკადემიური საბჭოს არჩევნებში ბევრი ღირსეული ადამიანი იღებს მონაწილეობას, ამიტომ, რასაკვირველია, დარწმუნებული არ ვარ, რომ თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები მაინცდამაინც მე დამიჭერენ მხარს. მაგრამ აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი ამ საბჭოში ოთხნობიანი მოღვაწეობა მამძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ნდობა, რომელიც წინა წლებში მქონდა გამოცხადებული, არ შემობრუნდეს და სწორედ ამიტომ ვლბებულობ ახლაც მონაწილეობას არჩევნებში. გამარჯვების შემთხვევაში

კვლავ გავაგრძელებ ფაკულტეტისა და მთლიანად უნივერსიტეტის ინტერესებისა და ღირსების დაცვას.

ჩვენი ფაკულტეტი საკმაოდ დიდია, ფაქტობრივად, ექვს ძველ ფაკულტეტს აერთიანებს, რაც გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, თუმცა, იმ ხნის მანძილზე, როდესაც აკადემიური საბჭოს წევრი ვიყავი, ყველა მიმართულებასთან მქონდა კავშირი. ვცდილობდი, მათი პრობლემები აკადემიური საბჭოს წევრებამდე მიმეტანა და საკითხების გადაჭრაში დახმარება გამეწია.

გარდა ამისა, უნივერსიტეტის ღირსების დაცვას ვცდილობდი როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთაც: ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჰოლანდიაში, სადაც საქმიანი ვიზიტებით ვიყავი წარგზავნილი. ამ კუთხითაც კვლავ ვაპირებ ჩემი მოღვაწეობის გაგრძელებას, რაც, ვფიქრობ, სასიკეთოდ წაადგება უნივერსიტეტის საქმეს.

მინდა ისიც აღვნიშნო, რომ ჩემი მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მხოლოდ იმ ოთხი წლით არ განისაზღვრება. 1983 წლიდან, როგორც ასპირანტმა, ყველა საფეხური გავიარე იმ პოზიციამდე, რაც დღეს მიკავია. საზღვარგარეთ საუკეთესო უმაღლესი სასწავლებლები ვნახე, ზოგიერთ მათგანში ვმუშაობდი კიდევ, მაგრამ მიმანია, რომ ჩემი ადგილი აქ არის, რადგან ჩემთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობა ყველაზე დიდი პატივია. აკადემიური საბჭოს არჩევნებში გამარჯვება

საშუალებას მომცემს — დანყებულ საქმე გავაგრძელო.

— რა სამოქალაქო პოზიცია გქონდათ მაშინ, როდესაც რამდენიმე წლის წინ უნივერსიტეტმა დაკარგა ავტონომია და იგი ხელისუფლების პოლიტიკის გამტარებელი გახდა?

— ეს საკმაოდ რთული კითხვაა... ჩვენ უპირველეს ყოვლისა უნდა ვიცოდეთ — რას ნიშნავს ავტონომიურობა და როგორ შეიძლება უნივერსიტეტი იყოს ავტონომიური. მიმანია, რომ ეს კითხვა პირობითია: — როდის დაკარგა და როდის მოიპოვა, როდის ჰქონდა უნივერსიტეტს რეალური ავტონომია და ა. შ.

უნივერსიტეტის დამოუკიდებლობა სხვაგვარად უნდა რეგულირდებოდეს, მას თავისი დებულება უნდა ჰქონდეს, როგორც საზღვარგარეთ უნივერსიტეტებშია. ფაქტობრივად, ჩვენ დღეს დამოკიდებულები ვართ იმ სტუდენტებზე, რომლებიც გრანტს იღებენ. არის სხვა პროგრამებიც, რომელიც მუშაობენ დაფინანსებით, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, რათა თსუ რეალურად ავტონომიური იყოს.

უნივერსიტეტის ავტონომიურობა გარკვეული პარამეტრებით განისაზღვრება, ამიტომ, ჩემი აზრით, ამ მიმართულებით ბევრი უნდა ვიმუშაოთ, პირველ რიგში კი საზღვარგარეთის ავტონომიური უნივერსიტეტების გამოცდილება უნდა გავიზიაროთ და ჩვენი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და ყოფითი რეალობის გათვალისწინებით უნდა ვიმუშაოთ ამ საკითხზე.



რამაზ შურდაძე დაიბადა 1961 წელს. 1983 წელს დაამთავრა გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი, 1983-1986 წლებში სწავლობდა თსუ-ის ასპირანტურაში. 1987 წელს აქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ქართული ენის ქართლური დიალექტის ლიხვისა და ფრონის ხეობათა ქართლური“, ხოლო 1999 წელს — სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ხმოვანმონაცვლე ზმნები თანამედროვე ქართულში“. არის 2 მონოგრაფიისა და 100-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, 1 მონოგრაფიის კი — თანაავტორი.

თსუ-ის გარდა სხვადასხვა დროს ლექციებს კითხულობდა საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც: ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (1987-1990 წწ.), სულხან-საბა ორბელიანის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტსა (1988-1990 წწ.) და ქალაქ გორის უნივერსიტეტში (1990-1991 წწ.). საქართველოს გარდა ქართულ ენას ასწავლიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში: ნიუ იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტონი ბრუკში (2007-2008 წწ.), დარტმუთის კოლეჯში (2011, 2013 წლებში გაზაფხულის სემესტრი); ჰოლანდიაში, ლეიდენის უნივერსიტეტში (2012 წლის შემოდგომის სემესტრი). მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროა: ქართული ზმნა; ქართული დიალექტოლოგია; ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების საკითხები; ქართული ჟარგონი.

წინ ბევრი გამოწვევაა

გვესაუბრება თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი **მარიამ გარსაშია**:

— თქვენი აზრით, რატომ უნდა მოგცეთ ხმა ფაკულტეტის პროფესორებმა და სტუდენტებმა? რას გააკეთებთ გამარჯვების შემთხვევაში?

— ჩემთვის მთავარი კითხვა არის ის, თუ როგორი იქნება უნივერსიტეტი ხუთი ან ათი წლის შემდეგ? წინ ბევრი გამოწვევაა. მათ შორისაა 2016 წელს დაგეგმილი აკრედიტაცია, კვლევის და განათლების ხარისხის ინტეგრაცია და გაუმჯობესება, განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურული პროექტები და სხვ. რაც მთავარია, კავკასიაში უძველესი და პირველი უნივერსიტეტი, მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან კონკურენციაში, ძალიან სწრაფად უნდა განვითარდეს და ეს, პირველ რიგში, თვალსაჩინო უნდა იყოს სტუდენტებისთვის და ლექტორებისთვის. უნივერსიტეტის სწრაფი განვითარებისთვის კი აუცილებელია მისი ავტონომიურობის, დემოკრატი-

ულ მიმართულებებზე დაფუძნებული მექანიზმების დაცვა.

— რა მოქალაქეობრივი პოზიცია გქონდათ მაშინ, როდესაც უნივერსიტეტის ავტონომია იზღუდებოდა? თვლით თუ არა, რომ დღეს მის ავტონომიას საფრთხე არ ემუქრება?

— პირადად მე ყოველთვის ვიყავი უნივერსიტეტის ავტონომიურობის უერთგულესი და აქტიური დამცველი. ეს პროცესია, სადაც სწორედ აკადემიური საბჭო არის უნივერსიტეტის ავტონომიურობის ერთ-ერთი გარანტი. რექტორის დემოკრატიული წესით არჩევა არის უნივერსიტეტის მნიშვნელოვანი მონაპოვარი, რომელიც უმაღლესი განათლების შესახებ კანონით არის გამყარებული. მასხოვს, 2013 წელს, სანამ ახალ რექტორს ავირჩევდით, სწორედ უნივერსიტეტის ავტონომიურობის დაცვის მოთხოვნით გამართულ აქციაზე, რამდენიმე პროფესორს შორის, მეც ვიდექი.

გასულ საუკუნეში კი, როცა ულმობელმა საბჭოთა რეჟიმმა უნივერსიტეტს ავტონომიურობა და ქვეყანას კი დამოუკიდებლობა წაართვა, მე რომ სტუდენტი ან პროფესორი ვყოფილიყავი, ზუსტად ვიცი, დავიცავდი მის დამოუკიდებლობას და ინტერესებს.



მარიამ გერსამია დაიბადა თბილისში, 1976 წლის 6 დეკემბერს. დაამთავრა თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზია, 1998 წელს წარჩინებით დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი და სწავლა გააგრძელა ასპირანტურაში. 2001 წლიდან ეწევა აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას თსუ-ში. 2004 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 2005 წელს გახდა ასოცირებული პროფესორი, 2011 წელს კი სრული პროფესორი. 2010-2014 წწ. იყო აკადემიური საბჭოს წევრი. მარიამ გერსამია ამჟამად გახლავთ ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელი და პროგრამების ავტორი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტი.

2006-2009 წლებში მუშაობდა განათლების და მეცნიერების სამინისტროში კომუნიკაციის სამმართველოს უფროსად, მინისტრის მრჩეველად და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსად. 2010-2014 წლებში მუშაობდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის აღმასრულებელ დირექტორად და დირექტორის მოადგილედ.

არის ცენტრალური ევრაზიის კვლევების საზოგადოების წევრი (აშშ); ათენის განათლების და კვლევის ინსტიტუტის საერთაშორისო ასოციაციის აკადემიური წევრი; ევროპის კო-



მუნიკაციის და კვლევის ასოციაციის წევრი, სხვადასხვა საერთაშორისო ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრი და რეცენზენტი. არის მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს და მრავალი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი. 2002 წლიდან რეგულარულად მონაწილეობს საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში. არის კენტუის შტატის (აშშ), ქ. ლუივილის საპატიო მოქალაქე (2009); ჰყავს მეუღლე — ვახტანგ ლლონტი და შვილები: ლიზა და გიორგი.



2014



საქართველოს არჩევნები — 2014

წევრობის კანდიდატები

მეშვიდე გვერდიდან

უნივერსიტეტის დეკლარაციის, სასწავლო და კვლევითი სამუშაოს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა ყოველთვის იყო ჩემი აქ ყოფნის პრიორიტეტები

გვესაუბრება თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი იანო კაჭკაჭიშვილი:

— თქვენი აზრით, რატომ უნდა მოგვცეთ ხმა ფაკულტეტის პროფესორებსა და სტუდენტებს? რას გააკეთებთ გამარჯვების შემთხვევაში?

— ვფიქრობ, რომ თსუ-ში ჩემი მოღვაწეობის მანძილზე არასოდეს დამიხუტავს თვალი პრობლემებზე და ვცდილობდი, პოლიტიკური კონიუნქტურის გათვალისწინების გარეშე, მელაპარაკა სიმართლეს. ამის გამო ყოველთვის „უცხოვდ“ ვჩანდდი, არასოდეს ვყოფილვარ „ინსაიდერი“ და შერწყმული თსუ-ის რექტორატის და ადმინისტრაციის გარე, ხელისუფლებაში მყოფ ლობისტებთან და მათ ადგილობრივ რუპორებთან, როგორც „მინაური“ პროფესორი. 2005 წელს უნივერსიტეტის დატოვების რეალური საშუალებების წინაშეც აღმოვჩნდი, როდესაც აკადემიური თანამდებობისთვის დასაკავებელი კონკურსში ძლივს გავედი და მართლაც „ბენჯის ხიდზე“ გავიარე. განათლების მაშინდელი მინისტრი, კახა ლომაია, სახელობით დირექტივებს აგზავნიდა და მოითხოვდა ჩემთან მიმართებაში მიღებული დადებითი გადაწყვეტილების გაუქმებას (აქვე კიდევ ერთხელ ვუხდი მადლობას ქ-ნ რუსუდან ლორთქიფანიძეს, თსუ-ის მაშინდელ რექტორს ჩემ მიმართ გამოჩენილი არაორდინალური თანადგომისთვის). მოკლედ, უნივერსიტეტის დეპოლიტიზაცია, სასწავლო და კვლევითი სამუშაოს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა ყოველთვის იყო ჩემი აქ ყოფნის პრიორიტეტები.

უნივერსიტეტს დღეს ავტონომიური ხელმძღვანელობა ჰყავს, რომელიც სახელისუფლო ვერტიკალისგან დამოუკიდებელია. ეს ნამდვილია ასეა და ეს ფაქტი ახალი დროის ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან მონაპოვრად მიმაჩნია. მიუხედავად ამისა, ცხადია, თსუ-ში პრობლემები არსებობს და, აკადემიური საბჭოს წევრად არჩევის შემთხვევაში, ვფიქრობ მონაწილეობა მივიღო შემდეგი საკითხების გადაჭრაში:

1. ფაკულტეტებზე აკადემიური და ადმინისტრაციული შტატის მოცულობის განსაზღვრა და რაციონალური თანაფარდობა: დღესდღეობით, ჯერ კიდევ არ არსებობს გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი წესი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება, რა მოცულობის აკადემიური და ადმინისტრაციული

შტატი უნდა ემსახურებოდეს სასწავლო პროგრამებს ამა თუ იმ ფაკულტეტზე. ვფიქრობ, ასეთი წესი შესაძლებელია, რაც უთუოდ ნაადგმობა ადამიანური რესურსების რაციონალიზაციას.

2. თსუ-ში კვლევითი მიმართულების გაძლიერება: დღეს თსუ-ში არ არსებობს მეტნაკლებად ანეობილი სისტემა, რომელიც აქ მოღვაწე პროფესორებს, აგრეთვე, დოქტორანტებს მათი კვლევითი პროექტების სრულფასოვანი რეალიზების შესაძლებლობას მისცემს ამ პროექტების მაღალი სამეცნიერო სტანდარტებით შეფასების საფუძველზე. კვლევითი პროექტები, ძირითადად, უნივერსიტეტის გარეგან, სხვადასხვა ფონდების და დონორების მიზნობრივ ხარჯზე ხორციელდება. არადა, თსუ-ს თავად შეუძლია გახდეს ერთ-ერთი ანგარიშგასანევი დონორი ამ მიმართულებით. ეს თსუ-ის კვლევითი პოტენციალს და ახალგაზრდა მეცნიერთა მოტივაციასაც ერთიორად გააძლიერებს.

3. პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასების ოპტიმიზაცია: დღეს პროფესორის სახელფასო ოდენობა დამოკიდებულია 2 კრიტერიუმზე: დაკავებულ აკადემიურ თანამდებობასა და საათობრივ დატვირთვაზე. რასაკვირველია, ორივე ეს კრიტერიუმი ლეგიტიმური, თუმცა, არასაკმარისია. საჭიროა ამ მიმართულებით უფრო კომპლექსური მიდგომა და დიფერენცირების სხვა კრიტერიუმების ინიცირება, როგორცაა, მაგალითად: პროფესორის სამეცნიერო მიღწევები, საერთაშორისო გრანტების მოპოვება და საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობა, პუბლიკაციები, სტუდენტების შეფასება და ა.შ.

4. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამჭვირვალე და სამართლიანი კრიტერიუმების შემოქმედება: განათლების თანამედროვე სისტემამ უკვე აღიარა, რომ ამა თუ იმ მეცნიერის კვალიფიკაცია გაზომვადია და შეიძლება რაოდენობრივი მაჩვენებელიც გამოიხატოს. საჭიროა გაზომვის ადეკვატური კრიტერიუმების ინიცირება და თითოეული მათგანის „წონის“ განსაზღვრა, რათა იმ ადამიანსაც კი, რომლის კვალიფიკაცია სხვაზე ნაკლებად აღმოჩნდება, კვლავ უსამართლობის განცდა. ეს პრობლემა კარგა ხანია მწვავედ დგას. ვიცი, რომ, რექტორის ინიციატივით, ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული, თუმცა ამ პროცესს ბოლომდე უნდა მივყავა.

5. ინსტიტუციური რეფორმა ფორმალიზაციის და დეცენტრალიზაციის მიმართულებით: დღეს ზოგიერთ ფაკულტეტზე (მაგალითად,

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე) არსებობს ისეთი კვაზი-ინსტიტუციური და არაღვრივი ერთეული, როგორცაა „მიმართულება“. არც ერთი ნორმატიული აქტი არ ცნობს ამ ერთეულს, არსადაა განწერილი მიმართულების ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა და უფლება-მოვალეობები. მიმართულებების სტატუსი ჰაერშია გამოკიდებული და მხოლოდ ნომინალურად არსებობს. ეს დაკავშირებულია დეცენტრალიზაციის პრობლემასთანაც ფაკულტეტებზე: ძალაუფლების ცენტრი დეკანის ოფისია, რომელიც არ ახდენს ფუნქციების დელეგირებას ე.წ. „მიმართულებებზე“ (და თუ ახდენს, ამას მხოლოდ „კეთილი ნებით“ აკეთებს და არა ინსტიტუციური ვალდებულების გამო).

6. სტუდენტთა მომავალი დასაქმებისთვის ზრუნვა: ვიცი, რომ თსუ-ში მოქმედებს კარიერული წინსვლის ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმების შესაძლებლობებზე ზრუნვას. თუმცა, ვფიქრობ, საჭიროა ამ მიმართულებით ძალისხმევის გაძლიერება. კერძოდ, კარგი იქნება სხვადასხვა მსხვილ ორგანიზაციასთან, როგორც პოტენციურ დამსაქმებელთან, ინსტიტუციური კავშირის დამყარება, რაც გულისხმობს მათთვის მიზნობრივად კვალიფიციური კადრის მომზადებას თსუ-ის ბაზაზე.

— რა სამოქალაქო პოზიცია გქონდათ მაშინ, როცა რამდენიმე წლის წინ უნივერსიტეტმა დაკარგა ავტონომია და იგი ხელისუფლების პოლიტიკის გამტარებელი გახდა?

— ჩემი პოზიცია ყოველთვის იყო მიმართული უნივერსიტეტის ავტონომიის და უნივერსიტეტის, როგორც დამოუკიდებელი „მოთამაშის“, სტატუსის გადასარჩენად. ეს პოზიცია არაერთხელ გამოიხატავს საჯაროდ (შეგვიძლია იხილოთ ჩემი ინტერვიუები როგორც ფართო გავრცელების მქონე ჟურნალ-გაზეთებში, ის თსუ-ის გაზეთში, აგრეთვე, ტელე და რადიო ინტერვიუებში). გარდა ამისა, საჯაროდ თანაუგრძობდი სტუდენტთა სხვადასხვა დაჯგუფებას (მაგალითად „ლაბორატორია 1918“-ს), რომელიც იბრძოდა თსუ-ში სწავლებისა და კვლევის თანამედროვე სტანდარტების დასამკვიდრებლად და მწვავედ ვაკრიტიკებდი სტუდენტურ თვითმმართველობას, როგორც ცენტრალური ხელისუფლების ახალგაზრდულ უფრედს თსუ-ში. ძალიან მიხარია, რომ ამ მიმართულებით უკვე წარსულში მიწვეს ლაპარაკი, თუმცა, რაც შეეხება, სწავლებისა და კვლევის თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრებას თსუ-ში, ამ კუთხით კიდევ ბევრია გასაკეთებელი.



იანო კაჭკაჭიშვილი დაიბადა 1965 წლის 11 დეკემბერს. არის სოციოლოგიის დოქტორი, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. თსუ-ში სწავლობდა 1982-1987 წლებში. 1991 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ფილოსოფიაში, ხოლო 2001 წელს — სადოქტორო დისერტაცია სოციოლოგიაში. კითხულობს კურსებს როგორც სოციალური თეორიების, ისე კვლევის მეთოდების სფეროში.

აკადემიური საქმიანობის პარალელურად, აქტიურად არის ჩართული ემპირიული კვლევების განხორციელებაში. ხელმძღვანელობს არასამთავრობო კვლევით ორგანიზაციას „სოციალური ანალიზისა და კვლევის ინსტიტუტი“ (ISSA). მონაწილეობა აქვს მიღებული ორმოცდაათზე მეტ საერთაშორისო პროექტში, როგორც პროექტის დირექტორს და/ან ანალიტიკოსს. არის 5 წიგნის და 40-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორი/თანავტორი, რომელთა ნაწილი დაბეჭდილია საერთაშორისო გამოცემებში ინგლისურ და რუსულ ენებზე. არის საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალის („Social Policy and Social Work in Transition“) თანარედაქტორი (ჟურნალი გამოიცემა დიდ ბრიტანეთში). ერთობლივი აკადემიური და კვლევითი პროექტები აქვს განხორციელებული შემდეგ უნივერსიტეტებთან: ჯიუჯერსის სახელმწიფო უნივერსიტეტი (აშშ), ჰეილბრულის უნივერსიტეტი (ინგლისი), ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტი (გერმანია), შვეიცარია-პალანის უნივერსიტეტი (ინგლისი), ტილინის უნივერსიტეტი (ესტონეთი), ვილნიუსის პედაგოგიური უნივერსიტეტი (ლიტვა), ლუბლიანის უნივერსიტეტი (სლოვენია). 2006 წლიდან იყო/არის ევროკავშირის ტემპუსის პროგრამის 3 საკრანტო პროექტის აკადემიური ხელმძღვანელი თსუ-ის მხრიდან.

უნდა მოიქაზონ სამეცნიერო მუშაობის დაფინანსების ალტერნატიული გზები

გვესაუბრება თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების პროფესორი ბიორბი გომბაძე:

— თქვენი აზრით, რატომ უნდა დაგიჭიროთ მხარე ფაკულტეტის აკადემიურმა პერსონალმა აკადემიური საბჭოს არჩევნებზე და რის გაკეთებას აპირებთ აკადემიური საბჭოს წევრად არჩევის შემთხვევაში?

— საკუთარ თავზე საუბარი უხერხულად მიმაჩნია. ჩვენი ფაკულტეტის პროფესორთა და სტუდენტები კარგად იცნობენ აკადემიური საბჭოს წევრობის სამივე კანდიდატს. აქედან გამომდინარე, უმჯობესია არჩევნების შედეგებს დაველოდოთ.

დღესდღეობით თსუ-ის წინაშე უამრავი პრობლემა დგას, რაც განპირობებულია როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური გარემოებით. სამწუხაროდ, წინა ათწლეულში ჩვენი უნივერსიტეტი სასწავლო-სამეცნიეროდან ადმინისტრაციულ დაწესებულებად გადაიქცა. საგანმანათლებლო რეფორმა ადმინისტრაციის პროფესორთა და სტუდენტების მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების და მათი შესრულების კონტროლის პროცესში მინიმუმამდე შემცირდა. მათთვის უცნობი იყო უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო და მართვის ბევრი მნიშვნელოვანი ასპექტი. შესაბამისად, საუნივერსიტეტო ცხოვრებისადმი ისინი ინდიფერენტულობას იჩენდნენ. აქედან გამომდინარე, უცნობი იყო სტუდენტებზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო განათლების ხელშეწყობა, რაც გულისხმობს პრო-

ფესორის და სტუდენტების როლის ამაღლებას უნივერსიტეტის მართვის პროცესში.

აღნიშნული პრობლემის გადაჭრა ვერ მოხერხდება უნივერსიტეტის რეალური დეცენტრალიზაციის გარეშე. უნდა შემცირდეს ცენტრალური ადმინისტრაციის როლი და გაიზარდოს ფაკულტეტების კომპეტენციები. ამ თვალსაზრისით გადასახედა და მკაფიოდ განსაზღვრია ცალკეული ფაკულტეტების ბიუჯეტი. პირადად ჩემთვის გაურკვეველია — რა წესით ხდება ფაკულტეტების ბიუჯეტების ფორმირება.

მართვის სისტემის სრულყოფისთვის აუცილებელია ცენტრალური ადმინისტრაციის და ფაკულტეტების სამეცნიერო-სასწავლო ერთეულების (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, კათედრა) სამართლებრივი ინსტიტუციონალიზაცია. გარდა ამისა, დღის წესრიგში უნდა დადგეს სტუდენტთა მომსახურების და მათთვის ინფორმაციის მიწოდების გაუმჯობესების საკითხი.

თსუ-ის აქტიუების ქუსლად რჩება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. ამის მთავარი მიზეზი მატერიალური სახსრების სიმწირეა. უნდა გაუმჯობესდეს არსებული მიდგომები და მოიძებნოს სამეცნიერო მუშაობის დაფინანსების ალტერნატიული გზები.

— რა პოზიცია გეჭირათ მაშინ, როცა უნივერსიტეტმა ავტონომია დაკარგა?

— მიმაჩნია, რომ ავტონომია, ამ ტერმინის დასავლური გაგებით, უნივერსიტეტს არასდროს ჰქონია. ხელისუფლება უნივერსიტეტზე ყოველთვის მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდა. ამდენად, ავტონომიის დაკარგვაზე ვერ ვისაუბრებ.



წინა პუნქტში ჩამოყალიბებულ პრობლემებზე ყოველთვის ვლაპარაკობდი, მათ შორის თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრად ყოფნის პერიოდშიც (2006-2010 წწ.).



ბიორბი გომბაძე დაიბადა 1957 წლის 3 იანვარს; 1979 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით; 1979-1982 წლებში სწავლობდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის

ფაკულტეტის ასპირანტურაში ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის სპეციალობით; აქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

გეოგრაფიის სხვადასხვა წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (1983-1985 წწ.); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთაშორისი ურთიერთობების კვლევის ცენტრში, საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ცენტრში, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის კვლევის ცენტრში (1985-1992 წწ.), მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციაში (1996-1999 წწ.), გაეროს განვითარების პროგრამაში (1992-2002 წწ.);

1992-1995 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის თანაშემწე;

1996-2005 წლებში არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიული განვითარებისა და კონფლიქტების მოგვარების ცენტრის“ დირექტორია;

2005 წელს იყო ბრიუსელის „ისტ-უსტ“ ინსტიტუტის ადგილობრივი წარმომადგენელი;

2005 წლიდან დღემდე არის თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების პროფესორი, ხოლო 2012 წლიდან — ამავე მიმართულების ხელმძღვანელი;

გამოქვეყნებული აქვს 30-მდე სამეცნიერო ნაშრომი ქართულ, ინგლისურ, იტალიურ, გერმანულ და რუსულ ენებზე.



აკადემიური საბჭოს არჩევნები — 2014

წევრობის კანდიდატები

მერვე გვერდიდან

უნდა შევქლოთ უნივერსიტეტში მასწავლებლის მომზადების პროგრამის მოდულიზირება

გვესაუბრება თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი **ქეთევან ჭკუასელი**:

— **თქვენი აზრით, რატომ უნდა მოგვცეთ ხმა ფაკულტეტის პროფესორებმა და სტუდენტებმა? რას გააკეთებთ გამარჯვების შემთხვევაში?**

— მოგახსენებთ, უნივერსიტეტში შეიქმნა ახალი — ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი. ახალშექმნილი ფაკულტეტი უმნიშვნელოვანესი პასუხისმგებლობისა და ტვირთის მატარებელია, მისი შექმნის იდეა მეტწილად განსაზღვრა საქართველოს სახელმწიფო მხრიდან განათლების დარგის პრიორიტეტულობამ და, ამავდროულად, ფსიქოლოგიის მეცნიერებისთვის კუთვნილი, მნიშვნელოვანი ადგილის დაბრუნებამ ქართულ სამეცნიერო, აკადემიურ სივრცეში. ამ მიმართებით მისასალმებელია უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება ამ პრობლემათა მოგვარების სწორედ ასეთი ფაკულტეტის შექმნით. ვფიქრობ, ამ ორი სპეციალობის ადამიანთა ერთიანი ძალისხმევით უნივერსიტეტი სერიოზულ ნაბიჯებს გადადგამს განათლებისა და ფსიქოლოგიის დარგების განვითარებისთვის.

ჩვენ, ჩვენი მხრივ, აკადემიური საბჭოს წევრის პოზიციიდან მუდმივად ხელს შეუწყობთ უნივერსიტეტის, როგორც ინსტიტუტის განვითარებას, ტრადიციული ხაზის შეთავსებას თანამედროვე მსოფლიოს საუნივერსიტეტო სტანდარტებთან. აკადემიური საბჭოს მუშაობაში თანამონაწილეობის საშუალებით (აკადემიური საბჭოს წევრად არჩევის შემთხვევაში),

ვფიქრობ, ხელი შევუწყო უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების ტენდენციებს, მართვისა თუ საბიუჯეტო თანხების კოორდინაციის საკითხის ჯეროვან განხორციელებას. ამავდროულად, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განათლების დარგის განვითარებაზე ზრუნვა, რაც აკადემიური საბჭოს მაღალი სამეცნიერო ტრიბუნადან გაცილებით მეტად პერსპექტიულად მიგვაჩნია. მოგახსენებთ, დღეს მასწავლებლის პროფესია სერიოზული პრობლემების წინაშე დგას, ასეთივე პრობლემურია მასწავლებლის მომზადების საკითხი. პროფესიამ, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, დაკარგა პრესტიჟულობა. სულ უფრო და უფრო მცირდება მასწავლებლობის მსურველთა რიცხვი. ამ პრობლემებს, ცხადია, ვერ მოაგვარებს მხოლოდ ხელისუფლების ნება, საჭიროა თითოეულმა ჩვენგანმა თავისი კუთვნილი წვლილი შეიტანოს ამ პრობლემის მოგვარებაში. საკითხთან მიმართებით, ვფიქრობთ, ჩვენი პროფესიული გამოცდილება სერიოზული განაცხადია, რათა შევქლოთ უნივერსიტეტში მასწავლებლის მომზადების პროგრამის მოდიფიცირება დღეისათვის აქტუალური მიმართულებით. რა თქმა უნდა, ჩვენი ფსიქოლოგი კოლეგების თანადგომითა და დახმარებით.

მიუხედავად იმისა, რომ ბატონ ლადო პაპავას და ჩვენი ყოფილი დეკანის, ქალბატონ დარეჯან თვალთვადის მიერ ამ თვალსაზრისით ჩვენი აქტიურობა ყოველთვის ნახალისებულ იყო და უნივერსიტეტში არაერთი ნაბიჯი გადაიდგა ამ მიმართულებით, მაინც გვგონია, რომ აკადემიური საბჭოს მუშაობაში ჩვენი მონაწილეობა უფრო აქტიურს გახდის ამ საქმეს.



ვინაიდან კარგად ვიცნობთ მასწავლებლის პროფესიას და მასთან დაკავშირებულ ყველა სირთულეს, ვფიქრობთ, რომ ეს პოზიცია საშუალებას მოგვცემს, უფრო ინტენსიური გაგზავნა მუშაობა ამ მიმართულებით მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით, აკადემიური საბჭოს წევრობის პოზიციიდან სხვა ფაკულტეტებამდეც აქტიურად დაიწყებოთ მასწავლებლის მომზადების საუნივერსიტეტო პრობლემები. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო ჩვენი უმცროსი კოლეგების, სტუდენტების წვლილი ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმის მოგვარებაში. სტუდენტის ხმა უმნიშვნელოვანესია უნივერსიტეტის განვითარების პროცესში. აკადემიური საბჭოს მუშაობის პროცესში შევძლებთ — ჩვენ წინაშე მდგარი პრობლემები აქტიურად დაიწყებოთ სტუდენტებამდე, რომლებიც, თავის მხრივ, ამ პრობლემებს მიიტანენ მთელი უნივერსიტეტის სტუდენტებამდე. ეს კი სერიოზული ძალაა და იმედი მაქვს, რომ ერთად გავეძეგვარებთ ყველა წინააღმდეგობას

უნივერსიტეტის განვითარების პროცესში. ჩვენ მათი ახალგაზრდული ოპტიმიზმისა და შემართების იმედი გვაქვს.

— **რა სამოქალაქო პოზიცია გქონდათ მაშინ, როდესაც რამდენიმე წლის წინ უნივერსიტეტმა დაკარგა ავტონომია?**

— უნივერსიტეტი სახელმწიფო დანებებულა და, შესაბამისად, იგი აუცილებლად უნდა ატარებდეს სახელმწიფო პოლიტიკას განათლების სფეროში. ამ მიმართებით არსებითია, რომ თავად სახელმწიფოს ჰქონდეს განსაზღვრული განათლების პოლიტიკა — რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდნენ ქვეყანაში უმაღლესი სასწავლებლები? როგორი უნდა იყოს ქვეყნის მეცნიერული პოტენციალი? როგორი კომპეტენციების მქონე მომავალი სპეციალისტები სჭირდება სახელმწიფოს? — ამ კითხვებს პასუხი უნდა გაეცეს.

არ უნდა აფუროთ ერთმანეთში სახელმწიფო პოლიტიკა და კერძო პარტიული ინტერესები. სასწავლო დანებებულების ავტონომია არ გულისხმობს სახელმწიფო პოლიტიკისგან გამიჯვნას, არამედ პირიქით, უნივერსიტეტის ავტონომიურობა თავისი ინიციატივით ხელს უნდა უწყობდეს განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის თვისებრივად მაღალ რანგში აყვანას. ამ თვალსაზრისით, ცხადია, მიუღებელი იყო წინა ხელისუფლების პოზიცია უმაღლესი სასწავლებლებთან და, მათ შორის, სახელმწიფო უნივერსიტეტთან მიმართებით. ეს იყო იმგვარი ავტორიტარული და ცენტრალიზებული მართვის ნიმუში, რომელიც, თავისი არსით, მხოლოდ საბჭოთა მმართველობის ფორმის მსგავსი შეიძლება იყოს. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში ჩვენი სამოქალაქო პოზიცია აქტიური პროტესტით გამოიხატებოდა.

ავტონომიურობა ფორმალური კი არა, თვისებრივი უნდა იყოს, რაც ხანგრძლივ მუშაობას გულისხმობს და, შესაბამისად, ჩვენ ძალისხმევას არ დავიშურებთ, რომ უნივერსიტეტმა ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მოიპოვოს ჭეშმარიტი ავტონომიურობა.



ქეთევან ჭკუასელი 1949 წლის 29 ოქტომბერს დაიბადა. 1972 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი დაამთავრა, 1982 წელს — ასპირანტურა პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის სპეციალობით. 1975-1986 წლებში მუშაობდა ქიმიის მასწავლებლად. 1986 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „გავლილი მასალის გამეორების საკითხისათვის“. 1982 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო მუშაობა მონეული მასწავლებლის სტატუსით. პარალელურად, 1982-1995 წლებში მუშაობდა საბურთალოს რაიონის განათლების

და თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდური კაბინეტის გამგედ, ასევე თბილისის განათლების სამმართველოს უფროსის მოადგილედ. 1989-2006 წლებში გახლდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრის დოცენტი. 2006 წლიდან კი თსუ-ის პედაგოგიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელი და სრული პროფესორია.

დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდური კაბინეტის გამგედ, ასევე თბილისის განათლების სამმართველოს უფროსის მოადგილედ. 1989-2006 წლებში გახლდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრის დოცენტი. 2006 წლიდან კი თსუ-ის პედაგოგიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელი და სრული პროფესორია.

პროფესორი ქეთევან ჭკუასელი პარალელურად თანამშრომლობდა ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველო“-თან მასწავლებელთა საუნივერსიტეტო მომზადების ფარგლებში და ფონდ USAID-თან დირექტორის შეფასების პროგრამის ფარგლებში. 2006 წლიდან პერიოდულად თანამშრომლობს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან კონსულტანტის სტატუსით.

კარგად ვხედავ ფსიქოლოგიის კავშირს განათლებასთან

გვესაუბრება თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი **მზია ნერეთელი**:

— **თქვენი აზრით, რატომ უნდა მოგვცეთ ხმა ფაკულტეტის პროფესორებმა და სტუდენტებმა? რას გააკეთებთ გამარჯვების შემთხვევაში?**

— პარადოქსია, მაგრამ ჩვენი ფაკულტეტი, გარდა იმისა, რომ ახალია, ამავდროულად ძალიან „ძველია“. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის მიმართულებას დიდი ტრადიცია აქვს. ქართული ფსიქოლოგიური სკოლა არ მოიცავს მხოლოდ თეორიულ შრომებს და კვლევებს, იგი გულისხმობს ადამიანებს და ურთიერთობებს, ერთობლივი მუშაობის გამოცდილებას. მე ერთ-ერთი ის ადამიანი ვარ, რომელსაც ბედნიერება ხვდა ნილად და მოესწრო რევაზ ნათაძეს და სხვა იმ პროფესორებს, რომლებიც ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებლის - დიმიტრი უზნაძის ასპირანტები და მოწაფეები იყვნენ. მათი სწავლების მეთოდიკა გამოიყენება, მინახავს — როგორი თავდადებით ასწავლიდნენ. ჩვენი ფაკულტეტი ნამდვილად ერთ-ერთი გამორჩეული იყო. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ეს ფაკულტეტი (ამჟამად უკვე ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი) უნდა განავითაროთ და ამავდროულად შეინარჩუნოთ წარსული გამოცდილება. ეს გამოცდილება, ფაქტობრივად, შენარჩუნებულიცაა, რადგან ფაკულტეტის კადრების უმრავლესობა სწორედ ამ ტრადიციებზეა აღზრდილი.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ უნდა დამიჭიროთ მხარი აკადემიური საბჭოს არჩევნებზე, ცოტა უხერხულია ამაზე საუბარი, თუმცა ფაქტია, რომ დიდი ხანია ამ ფაკულტეტზე ვმუშაობ, ვასწავლი ძირითად კურსებს, ჩახედული ვარ მის პრობლემატიკაში (დაწყე-

ბული პირველი კურსიდან ბოლო საფეხურის ჩათვლით). ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს სტუდენტებთან, შემიძლია მათი მოსმენა და მხარდაჭერა.

მიმანჩია, რომ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის შექმნა ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა — კარგად ვხედავ ფსიქოლოგიის კავშირს განათლებასთან და ვიცი — როგორ უნდა განვითარდეს ეს დარგები პარალელურ რეჟიმში, როგორ უნდა გააძლიერონ ერთმანეთი. პიროვნულ თვისებებზე არ ვილაპარაკებ. ვინც მიცნობს, იცის, რომ ვარ მიუკერძოებელი.

შევეცდები ვიმუშაო სწავლასა და სწავლებასთან დაკავშირებულ იმ პრობლემატიკაზე, რომელთა შესახებაც ჩემთვის ცნობილია როგორც საკუთარი გამოცდილებიდან, ასევე კოლეგებისა და სტუდენტებისგან.

— **რა სამოქალაქო პოზიცია გქონდათ მაშინ, როდესაც რამდენიმე წლის წინ უნივერსიტეტმა დაკარგა ავტონომია?**

— ის პერიოდი კარგად მახსოვს, როდესაც ამაზე იყო მსჯელობა. დეტალებს არ ჩაუვლირებავს, მაგრამ ფაქტია — უნივერსიტეტი უნდა იყოს დამოუკიდებელი და ეს დამოუკიდებლობა უნდა ვლინდებოდეს აკადემიურ (სწავლების, კვლევის) და არჩევანის (როგორ ასწავლი, რა საშუალებებით) თავისუფლებით. ამ პროცესში არ უნდა მოხდეს ჩარევა არც პირდაპირი და არც ირიბი გზით — ეს სრულიად ცხადია. მეორეა, რა საშუალებები გვაქვს და რამდენად შეგვიძლია მსგავს საკითხებზე მსჯელობა თუ გარკვეული ზეგავლენის მოხდენა. ვფიქრობ, რომ აკადემიური საბჭო ის ორგანოა, რომელსაც შეუძლია მსგავს საკითხებზე რეაგირება.

ჩემი აზრით, აკადემიური თავისუფლების საკითხი სცილდება საკანონმდებლო თუ იურიდიულ ფარგლებს. იგი ცნობიერების



საკითხიცაა. მე, როგორც მეცნიერს მაინტერესებს ამ საკითხის კვლევა. სამწუხაროა, რომ საქართველოში ძალიან ცოტა კვლევა და სტატიაა გაკეთებული აკადემიური თავისუფლების თემაზე. ამჟამად რამდენიმე ჩემი მაგისტრანტი და დოქტორანტი მუშაობს ამ საკითხებზე. დარწმუნებული ვარ, რომ ახალი ფაკულტეტი ამ მიმართულებით კვლევასა და მუშაობის მეტ პერსპექტივებს შექმნის.



მზია ნერეთელი დაიბადა 1963 წლის 14 აგვისტოს. 1985 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის ფაკულტეტი. ასპირანტურაში ზოგადი ფსიქოლო-

გიის მიმართულებით განაგრძო კვლევა და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ინფორმაციის შენახვის ფორმები და მექანიზმები მეხსიერებაში“. 2005 წ. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია გენდერული ცნობიერების განწყობისეული მექანიზმების ფორმირების საკითხზე. 2008 წლიდან დღემდე არის თსუ-ის ფსიქოლოგიის მიმართულების პროფესორი, ფსიქოლოგიის მიმართულების საბაკალავრო პროგრამის თანახელმძღვანელი და თანაავტორი; ასევე განათლების ფსიქოლოგიის კონცენტრაციის ხელმძღვანელი, სამაგისტრო პროგრამების — „განათლების ფსიქოლოგია და კვლევა“ (2008 წ. - დღემდე) და „კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში“ (2007-2008 წწ.) ხელმძღვანელი. 2013 წლიდან დღემდე გახლავთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კვლევისა და შეფასების სამმართველოს უფროსი. 2012-2013 წლებში მუშაობდა ფსიქომეტრიკოსი ექსპერტის პოზიციაზე საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტში. 2010-2011 წლებში იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის“ ეროვნული შეფასებების, კვლევებისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსი. 2006-2008 წლებში გახლდათ თსუ-ის ასოცირებული პროფესორი, 1993-2006 წლებში — თსუ-ის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ზოგადი ფსიქოლოგიის კათედრის დოცენტი, 1990-1993 წლებში ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე მუშაობდა მონეული ლექტორის სტატუსით, 2008-2010 წლებში იყო მონეული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტშიც, 2006-2008 წლებში კი — კავკასიის ბიზნეს სკოლაში. არის 50 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.





აკადემიური საბჭოს არჩევნები — 2014

წევრობის კანდიდატები

მეცხრე გვერდიდან

უნივერსიტეტს საშუალება უნდა ჰქონდეს — გადაწყვეტილებაში დამოუკიდებლად მიიღოს

გვესაუბრება თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი **თამარ აბაშიძე**:

— თქვენი აზრით, რატომ უნდა მოგცეთ ხმა ფაკულტეტის პროფესორებმა და სტუდენტებმა? რას გააკეთებთ გამარჯვების შემთხვევაში?

— ჩემი კანდიდატურის წამოყენება ფაკულტეტზე კოლეგების გარკვეული ჯგუფის ინიციატივაა. მათი აზრით, მე შევძლებ ახლად შექმნილი — ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერესების დაცვას აკადემიურ საბჭოში. მართალია გითხრათ, ეს ჩემთვის დიდი პატივია, მაგრამ უფრო დიდი გამოწვევა და პასუხისმგებლობაა. შევეცდები ფაკულტეტის წევრებთან კოორდინირებული მუშაობით

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პოზიცია წარმოვადგინო აკადემიურ საბჭოში.

— რა სამოქალაქო პოზიცია გქონდათ მაშინ, როდესაც რამდენიმე წლის წინ უნივერსიტეტმა დაკარგა ავტონომია?

— უმაღლეს სასწავლებლებს, მათ შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსაც, რა თქმა უნდა, მთავრობასთან გარკვეული კონტაქტი აქვს. მაგრამ სახელმწიფოს მხრიდან ისეთ ჩარევას, რომელიც უმაღლესი სასწავლებლის, ამ შემთხვევაში თსუ-ის, ნორმალურ ფუნქციონირებას შეზღუდავს და ხელს შეუშლის, ყოველთვის უარყოფითად ვაფასებდი და შეგაფასებ. უნივერსიტეტს საშუალება უნდა ჰქონდეს თავისუფალ გარემოში გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად მიიღოს.



თამარ აბაშიძე დაიბადა თბილისში, 1969 წელს. 1987-1993 წლებში სწავლობდა თსუ-ის ფსი-

ქოლოგიის ფაკულტეტზე, ამავე ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა ასპირანტურაში ზოგადი ფსიქოლოგიის კათედრაზე. 1999 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ემოციური ფაქტორების გავლენა სააზროვნო ამოცანების გადაჭრაზე“. 1994-1996 წლებში სწავლობდა ზაარბრიუკენის უნივერსიტეტში, სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტში. 2005-2006 წლებში იყო თსუ-ის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დეკანი და შემდგომში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. ამჟამად არის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, აგრეთვე, გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის თანამშრომელი.

ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაზე ვიშუავეზ

გვესაუბრება თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი, მიკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი **ეტიარ ხარაიშვილი**:

— თქვენი აზრით, რატომ უნდა მოგცენ ხმა ფაკულტეტის პროფესორებმა და სტუდენტებმა?

— უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდში ყოველთვის აქტიურად ვიყავი ჩართული ეკონომიკური განათლებისა და კვლევის სფეროში სიახლეების დანერგვაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რამდენიმე წლის წინათ, ბოლონის პროცესს შეუერთდა და, შესაბამისად, მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა. ამ პროცესებში აქტიურად ვმონაწილეობდი. მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ არსებულ პროგრამებსა და სწავლების მეთოდებში რეალურ ბაზრებზე მიმდინარე პროცესები აისახოს, მოიძებნოს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საკითხებთან დაკავშირების მექანიზმები. მიმაჩნია, რომ აუცილებელია ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება და მათი სასწავლო პროცესში ადაპტირება.

სასწავლო პროცესისადმი შემოქმედებითი მიდგომა, კურიკულუმის, სალექციო კურსების განვითარება და დაგეგმვა, სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა, სიახლის ძიების მუდმივი სტიმული, სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, უნივერსიტეტის მიზნებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სწავლების თანამედროვე მეთოდების შერჩევა, პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა — ეს ის მოთხოვნებია, რომლებსაც საკუთარ თავს ვუყენებ და იმედი, აკადემიური საბჭოს წევრად არჩევის შემთხვევაში, შევძლებ უნივერსიტეტისა და ჩემი მიზნების სრულად განხორციელებას.

— რას გააკეთებთ გამარჯვების შემთხვევაში?

— აკადემიური საბჭო კოლეგიალური, აკადემიური საქმიანობის მართვის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა და, შესაბამისად, აკადემიური საბჭოს წევრებთან თანამშრომლობით, ასევე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტური თვითმმართველობის თანადგომით, პირველ რიგში, ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაზე ვიშუავეზ, სადაც წამყვანი ადგილი სწავლებისა და კვლევის კონცეფციის განვითარებას დაეთმობა, კერძოდ, სასწავლო პროგრამების ოპტიმიზაციასა და დაგეგმვას, ევროპის უნივერსიტეტების მოთხოვნებზე ორიენტირებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სწავლების სისტემების დანერგვას, კვლევის თანამედროვე მეთოდებ-

ბის გამოყენებას.

ერთი მხრივ, საჭიროა სასწავლო პროგრამებზე მუშაობა თეორიული ცოდნის მიღების, ხოლო მეორე მხრივ, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოუმუშავების თვალსაზრისით. მნიშვნელოვნად მიმაჩნია შეფასების ინდიკატორებზე მუშაობის გაგრძელება იმ მიმართულებით, რომელიც აკადემიური პერსონალის ჩარევებითაა მოთავსებული, ასევე მნიშვნელოვანი იქნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის წინადადებების მიწოდება — შეფასების სტრატეგიებზე.

მინდა გამოვიყენო ჩემი და ჩემი კოლეგების ურთიერთობა ევროპის უნივერსიტეტებთან (შვეიცარიაში — ციურხის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, გერმანიაში — ბერლინის ტექნიკური ინსტიტუტი და ვაინშტეფანის უნივერსიტეტი, იტალიაში — პარმას და ტრენტოს უნივერსიტეტები და სხვ.) და განვაფართოო ერთობლივი და გაცვლითი პროგრამები.

სტუდენტების სწავლების ხარისხის ამაღლება წარმოდგენილია კარგად ორგანიზებული პრაქტიკების გარეშე. ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯები გადადგმულია. პროცესი რომ შეუქცევადი და მდგრადი გახდეს, აუცილებლად მიმაჩნია მუშაობის გაგრძელება პრაქტიკის ობიექტების დასაბუთებულ შერჩევასა და მოლაპარაკებებზე, ხელშეკრულებების გაფორმებამდე.

მნიშვნელოვანი იქნება განათლების სფეროში Tempus Tacis პროექტების მართვით მიღებული ჩემი გამოცდილების გამოყენება წარმოებისათვის ურთიერთობისა და სტუდენტთა მომსახურების მიმართულებით. ამჟამად ფაკულტეტზე მუშაობს სტუდენტთა მომსახურების ოფისი, მაგრამ საჭიროა ამ ოფისის საქმიანობის გაფართოება სტუდენტთა სტაჟირების, დასაქმებისა და დაფინანსების წყაროების ძიებით.

სტუდენტურ თვითმმართველობასთან აქტიურად ვთანამშრომლობ წლების მანძილზე, განსაკუთრებით სამეცნიერო დეპარტამენტთან. უახლოეს მომავალში ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს ვთავაზობ პროექტის „პოსტგრადუის ფესტივალი“ განხორციელებას.

უკვე წლებია, მწვავედ დგას პრობლემა მაღლივ კორპუსში სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის კვების ობიექტის მოწოდების შესახებ. ამ საკითხის უმოკლეს დროში გადაწყვეტა, უბრალოდ, დროის მოთხოვნაა და, შესაბამისად, გადაუდებელია.

აუცილებელია, შემუშავდეს ემერტუსის მინიჭების წესი შესაბამისი ანაზღაურებით. თუმცა, ასევე, მნიშვნელოვანია ამ წესის გარეთ არსებული ასოცირებული და



ასისტენტ-პროფესორების ღირსეული საპენსიო უზრუნველყოფის საკითხის მოგვარება, შესაბამისი ფონდების შექმნა და მართვით. წლების მანძილზე უნივერსიტეტში თავდადებული და სიყვარულით სავსე მოღვაწეობა ისეთი პენსიით უნდა დასრულდეს, რომ პიროვნებას ღირსება არ შეეღალხოს.

ასევე, აქტიურად ჩავერთვები თსუ-ის რექტორისა და სტუდენტების მიერ დაწყებულ ინიცირებულ აქტივობებში უნივერსიტეტის ტერიტორიების დასაბრუნებლად. უფრო მეტიც, ამ პროცესის თანამდევნი საქმიანობა გახდება მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობის სამუშაოების გააქტიურება მერიასთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით.

ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია გუნდური მუშაობის პრინციპები. იმედი მაქვს, რომ აკადემიური საბჭოს წევრების თანადგომით და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან თანამშრომლობით შევძლებ პრობლემების მოგვარებას და დასახული მიზნების განხორციელებას...

— რა სამოქალაქო პოზიცია გქონდათ მაშინ, როცა უნივერსიტეტმა ავტონომია დაკარგა და ხელისუფლების პოლიტიკის გამტარებელი „გახდა“? როგორც მოგეხსენებათ, საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპებიდან უმთავრესი — აკადემიური თავისუფლების პრინციპია.

— უნივერსიტეტის ავტონომიურობის სტატუსი თვით ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილი წესდებით იყო განსაზღვრული და ეს იდეა ნიშნავდა მართვისა და სწავლების სისტემის დამოუკიდებლობას. რეალური ავტონომია ხელისუფლების ნებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული. როდესაც რამდენიმე წლის წინათ უნივერსიტეტმა ავტონომია დაკარგა და იგი ხელისუფლების პოლიტიკის გამტარებელი გახდა, უნივერსიტეტში ამ პროცესმა შესაბამისი პროტესტიც გამოიწვია.

კანონპროექტი, რომელიც უნივერ-

სიტეტის ავტონომიას საფრთხეს უქმნიდა, განსაკუთრებით სტუდენტებმა გააპროტესტეს. მე კი ყოველთვის ჩემი სტუდენტების გვერდით ვარ. ავტონომია, უპირველეს ყოვლისა, აკადემიურ თავისუფლებას უნდა იყოს დაფუძნებული. ამას ითვალისწინებს ბოლონის პროცესიც. ჩემი სამოქალაქო პოზიცია იმ პერიოდში იყო ბრძოლა თანამედროვე დასავლური განათლების სისტემის დანერგვისთვის, რაც აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების არჩევანის დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებასთან და, მაშასადამე, ავტონომიურობის დაცვასთან იყო ლოგიკურად დაკავშირებული.



ეთერ ხარაიშვილი დაიბადა 1953 წელს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თსუ-ის ასპირანტურაში, აქვე დაიცვა საკანდიდატო (1981 წ.), ხოლო შემდეგ სადოქტორო დისერტაცია (1999 წ.)

პროფესორი ეთერ ხარაიშვილი სხვადასხვა წლებში მუშაობდა თსუ-ის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ მაგისტრატურაში სწავლების დარგში და ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ სამეცნიერო მუშაობის დარგში. იყო თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ხოლო 2011 წლიდან დღემდე თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის გერმანულ-ქართული ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა მენარმეობის დარგში.

ქალბატონი ეთერ ხარაიშვილი გახლავთ 97-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 2 მონოგრაფიისა 6 სახელმძღვანელოს ავტორი. წაკითხული აქვს შემდეგი სალექციო კურსები: „მიკროეკონომიკა“, „მიკროეკონომიკა II“, „რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა“, „რეგიონული ეკონომიკა“, და „საქართველოს ეკონომიკა“. არის 5 დოქტორანტისა და 7 დაცული სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი, ასევე 18 მაგისტრანტის მეცნიერ-ხელმძღვანელი, მათ შორის ციურხის (შვეიცარია) ტექნოლოგიური ინსტიტუტის მაგისტრანტების კონსულტანტი და თანახელმძღვანელი.

მონაწილეობდა მრავალ რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო პროექტში. ასევე მინვეული იყო გერმანიის, შვეიცარიის, იტალიის, საფრანგეთის, თურქეთის, ირლანდიისა და ინგლისის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში. არის მრავალი რესპუბლიკური თუ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილე. ჰყავს მეუღლე და ერთი ქალიშვილი.

აკადემიური საბჭოს არჩევნები — 2014

წევრობის კანდიდატები

მეათე გვერდიდან

სათანადო ორგანიზება უნივერსიტეტს დროულად უნდა გადასცენ კუთვნილი ქონება!

გვესაუბრება თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი **ავთანდილ სილაგაძე**:

— თქვენი აზრით, რატომ უნდა მოგვცეთ ხმა ფაკულტეტის პროფესორებმა და სტუდენტებმა? რას გეგმათ გამარჯვების შემთხვევაში?

— ჩემთვის უცხო არ არის უნივერსიტეტის წინაშე მდგომი ახალი გამოწვევები და გადასაწყვეტი პრობლემები. აკადემიური საბჭოს წევრად ჩემი არჩევის შემთხვევაში, საბჭოს უფლებამოსილებების ფარგლებში, მაქსიმალურად ხელს შევუწყობ განვითარების სტრატეგიული გეგმის, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების სრულყოფას, საუნივერსიტეტო უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების სრულყოფას, გამჭვირვალე და სამართლიანი კონკურსების ჩატარებას, სასწავლო პროცესისთვის საჭირო მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას. აქტიურ მონაწილეობას მივიღებ უნივერსიტეტის წესდების, სტრუქტურული ერთეულების დებულებების დახვეწაში, ბიუჯეტისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური ანგარიშების განხილვაში,

ფაკულტეტისა და სტუდენტობის წინაშე არსებული მწვავე პრობლემების სამართლიანად გადაწყვეტაში და ა.შ. მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ სათანადო ორგანიზება უნივერსიტეტს დროულად გადასცენ მფლობელობაში ტრადიციულად კუთვნილი უძრავი ქონება.

— რა სამოქალაქო პოზიცია გქონდათ მაშინ, როცა რამდენიმე წლის წინათ უნივერსიტეტმა ავტონომია დაკარგა და ხელისუფლების პოლიტიკის გამტარებელი გახდა?

— ვერავითარი გამართლება ვერ მოეძებნება უნივერსიტეტისა და მისი ღირსეული პროფესორის დიდი ნაწილის წინააღმდეგ განხორციელებულ მიზანმიმართულ ქმედებას, რაც კიდევ ერთ „შავ ლაქად“ დარჩება უნივერსიტეტის ისტორიაში. ბევრი ცნობილი უნივერსიტეტელი, რომელიც ასეთი პოლიტიკის აქტიური მონაწილე მყოფი იყო, მიუღებელი მეთოდებით აღმოჩნდა სასწავლებლის კედლებს მიღმა. სამწუხაროდ, ზოგიერთი მათგანი გარდაიცვალა კიდევ. იმ პერიოდში, პროტესტის ნიშნად, მეც დავტოვე უნივერსიტეტი. „მძიმე წლებში“, რა თქმა უნდა, უნივერსიტეტში ბევრი ღირსეული ადამიანიც მოღვაწეობდა.

მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტის დღევანდელი ხელმძღვანელობა წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემების მოგვარებას ცდილობს, სპეციალური ფონდი დაარსებასაც კი აპირებს, თუკი პარლამენტი შესაბამის კანონს მიიღებს.



ავთანდილ სილაგაძე დაიბადა 1954 წელს ქალაქ ცაგერი. 1977 წელს დაამთავრა თსუ-ის ეკონომიკის ფაკულტეტი, აქვე ასპირანტურა, ხოლო 1988 წელს — ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიკური ინსტიტუტის გერმანული ენის ფაკულტეტი. 2014 წელს აირჩიეს თსუ-ის საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის ხელმძღვანელად. სხვადასხვა დროს გახლდათ თსუ-ის ეკონომიკის ფაკულტეტის მასწავლებელი, დოცენტი, დეკანი (1996 წ.), პროფესორი, თსუ-ის პრორექტორი ეკონომიკური განათლების დარგში (1998-2005 წწ.), კათედრის გამგე (2003-2005 წწ.), კოორდინატორი ეკონომიკურ მეცნიერებათა დარგში (2005 წ.) და რექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი (2005-2006 წწ.). 2008-2003 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი (მაჟორიტარი დეპუტატი), 1992-1998 წლებში საქართველოს კონსტიტუციის სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი, 2014 წლიდან არის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს წევრი.



სიგელით (2007 წ.), არის საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერების დარგში (2004 წ.).

პროფესორი ავთანდილ სილაგაძე არის აშშ (კალიფორნია) მეცნიერების, განათლების, მრეწველობის და ხელოვნების საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი (1996 წ.), რომელსაც 2012 წელს მიენიჭა პენინსულას (აშშ) ინფორმაციის, ტექნოლოგიებისა და ბიზნესის უნივერსიტეტის პროფესორის ნოდება, არის ჟურნალის „The Caucasus & Globalization“ სარედაქციო კოლეგიის წევრი (შვედეთი, 2012 წ.) და ჟურნალის „ეკონომიკა“, „ეკონომიკა და ბიზნესი“, „საქართველოს ეკონომიკა“, „სოციალური ეკონომიკა“, „ეკონომისტი“, „ახალი ეკონომისტი“ და სხვ. სარედაქციო კოლეგიების წევრი.

ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი.

ჩემი სამოქალაქო პოზიციაა სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციული კადრების უფლებების დაცვა

გვესაუბრება თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი **ქეთევან მარშავა**:

— რატომ უნდა მოგვცეთ ხმა ფაკულტეტის პროფესორებმა და სტუდენტებმა, რას გააკეთებთ გამარჯვების შემთხვევაში?

— ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ამომრჩევლების (აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების) მოტივაციას — მომცენ ხმა, ის გარემოება განაპირობებს, რომ ისინი კარგად იცნობენ ჩემს მოღვაწეობას, პიროვნულ და პროფესიულ თვისებებს, პრინციპულობას... ერთი ვადით უკვე ვიყავი არჩეული ჯერ წარმომადგენლობით, შემდეგ — აკადემიურ საბჭოებში და ჩემი მუშაობის შედეგები ყველასთვის ცნობილია.

უნივერსიტეტის უმაღლეს მმართველობით ორგანოებში წევრობის პერიოდში, ჩემი დიდი ძალისხმევით და თანამოაზრე თანამშრომლების მხარდაჭერის შედეგად გადაიჭრა ჩემ მიერ ინიცირებული მრავალი საკითხი: ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის გაზრდისა და მის სტრუქტურაში ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა; ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სახელფასო სისტემის შეცვლა და მისი ოპტიმალურთან მეტ-ნაკლებად მიახლოება; სამივე კატეგორიის აკადემიური პერსონალის (პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის) სალექციო-სასემინარო დატვირთვის ორი საათით შემცირება; ამერიკისა და ევროპის ნამყვან უნივერსიტეტებში აპრობირებული სახელმძღვანელოების თარგმნა-გამოცემის პროექტის ინიცირება, დაგეგმვა და განხორციელება.

გამარჯვების შემთხვევაში, სრულად გამოვიყენებ უმაღლეს მმართველობით

ორგანოებში მუშაობისას დაგროვილ ცოდნა-გამოცდილებას, მოვახდენ ისეთი საკითხების ინიცირებას, რომელთა თანმიმდევრული გადაწყვეტის შესაძლებლობას ერთმნიშვნელოვნად იძლევა ფაკულტეტის შემოსავლები. ამაზე უკვე ზრუნავს თსუ-ის რექტორი და აკადემიური საბჭო.

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მომუშავე როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ინტენსივობა საკმაოდ მაღალია, პროფესურას არა აქვს კვლევითი კომპონენტის სათანადო დონეზე აქტიუზაციის შესაძლებლობა, სტუდენტებს ლექცია-სემინარები თანამედროვე პირობებისთვის შეუსაბამო, მოუნესრიგებელ აუდიტორიებში უტარდებათ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩემი ხედვა ასეთია: ოთხი წლის განმავლობაში ფაკულტეტს საკუთარი შემოსავლებიდან (ყოველწლიურად 8-10%) გამოეყოს შესაბამისი ოდენობის თანხა ინფრასტრუქტურის მოსანერგებლად (შენობის რემონტი, გათბობა, ინვენტარი და ა.შ.); განხორციელდეს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ინტენსივობის შესატყვისი სტრუქტურული ცვლილებები; კათედრებზე მომუშავე პროფესორებს მიეცეს საშუალება, დამატებით ჩაატაროს ლექცია-სემინარები, რაც გაზრდის მათ ანაზღაურებას და შეამცირებს მოწვეულ პედაგოგთა რაოდენობას; ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გამოიყოს ცალკე მუხლი თითოეული კათედრისთვის პრიორიტეტული კვლევითი პროექტების განსახორციელებლად.

სწორედ ამ საკითხების ინიცირება და გადაწყვეტა არის ჩემი სამოქალაქო გეგმა, რომლის განხორციელება რეალურად შესაძლებელია.

— საინტერესოა თქვენი სამოქალაქო პოზიცია მაშინ, როცა რამდენიმე წლის წინათ უნივერსიტეტმა ავტონომია



დაკარგა და ხელისუფლების პოლიტიკის გამტარებელი გახდა.

— ჩვენი უნივერსიტეტი თავისი ისტორიის მანძილზე მრავალი გამოცდის წინაშე იდგა. ხელშეწყობასთან ერთად ხელის შემშლელიც ბევრი გვახსოვს. ბრძოლა იდეოლოგიური, ფინანსური და, შეიძლება ითქვას, უფრო ბინძური მეთოდებითაა მიმდინარეობდა. ჩემი კოლეგები, სტუდენტები და თანამშრომლები მიცნობენ, როგორც პრინციპულ, მიუკერძოებელ და ობიექტურ ადამიანს, რომლისთვისაც უნივერსიტეტი კარგად და პრესტიჟი კი არა, ბევრად უფრო მეტია — ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მერწმუნეთ, ჩემ მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი ვცდილობ დავიცვა მისი ფასეულობები. ჩემი სამოქალაქო პოზიციაა — სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციული კადრების უფლებების დაცვა, მათი სწავლისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, სწრაფვა პროგრესული ცვლილებებისკენ პარტიული და სხვა კონიუნქტურული დათმობებისა თუ რევერანსების გარეშე. ეს ჩემი ცხოვრების წესია და არ ვაპირებ მისგან გადახვევას. უნივერსიტეტი იყო, არის და იქნება ცოდნის, განათლებისა და სიბრძნის ტაძარი და მას სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს თავისი მისიის შესრულებაში.



ქეთევან მარშავა დაიბადა 1952 წელს ქალაქ გალში.

1973 წელს დაამთავრა მოსკოვის კვების მრეწველობის საკავშირო ინსტიტუტი და მიენიჭა ეკონომისტ-ორგანიზატორის კვალიფიკაცია, ხოლო 1982 წელს — ყუბანის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, იურისტის სპეციალობით. 1992 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სტატისტიკის კათედრის დოქტორანტმა წარმატებით დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, ხოლო 1996 წელს მას პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური ნოდება მიენიჭა სტატისტიკის სპეციალობით.

პროფესორი ქეთევან მარშავა 2009 წლიდან დღემდე თსუ-ის აკადემიური საბჭოსა და თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს წევრი იყო; 2007—2009 წლებში კი, თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრიც გახლდათ. 1998 წლიდან დღემდე თსუ-ის სადისერტაციო საბჭოს წევრიცაა.

გამოქვეყნებული აქვს 80-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის 7 მონოგრაფია, 4 სახელმძღვანელო, 4 დამხმარე სახელმძღვანელო და 3 სალექციო კურსი.

ქალბატონი ქეთევანი აქტიურად და წარმატებით თანამშრომლობს სამეცნიერო ჟურნალებთან: „საქართველოს ეკონომიკა“, „ბიზნესი და მენეჯმენტი“, „ეკონომიკა“, „ეკონომიკა და ბიზნესი“, „საერთაშორისო ბიზნესი“ (სარედაქციო კოლეგიის წევრია).

2012 წელს დაჯილდოვდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით, ხოლო 2013 წელს ღირსების ორდენით.

ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი.





აკადემიური საბჭოს არჩევნები — 2014

წევრობის კანდიდატები

მეთერთმეტე გვერდიდან

თსუ ჭაშმარიტ კვლევით უნივერსიტეტად უნდა იქცას

გვესაუბრება თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი, ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრის გენერალური დირექტორი **თინათინ ტყეშელაშვილი**:

— **თქვენი აზრით, რატომ უნდა მოგცეთ ხმა ფაკულტეტის პროფესორებმა და სტუდენტებმა? რას გააკეთებთ გამარჯვების შემთხვევაში?**

— 1997-2006 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პედაგოგი ვიყავი, ხოლო 2007 წლიდან ვარ პროფესორი. ვიყავი მედიცინის ფაკულტეტის აღდგენის (2000 წლიდან) ერთ-ერთი ინიციატორი და მხარდამჭერი.

ამდენად, კარგად ვიცნობ უნივერსიტეტის და მით უმეტეს მედიცინის ფაკულტეტის პრობლემებს. შესაბამისად, შემძლია არსებული პრობლემები ადეკვატურად მივანოლო აკადემიურ საბჭოს და მონაწილეობა მივიღო მათ წარმატებით გადაჭრაში.

ამასთანავე, კარგად ვაცნობიერებ, რომ უნივერსიტეტში სამედიცინო განათლება მხოლოდ მედიცინის საკითხების სწავლებით არ შემოიფარგლება და საერთო საუნივერსიტეტო მოთხოვნებსაც უნდა პასუხობდეს.

საბჭოში ჩემი არჩევის შემთხვევაში, იმ სტრატეგიას შევუწყობ ხელს, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადააქცევს ჭაშმარიტ კვლევით უნივერსიტეტად. ასევე შევეცდები მედიცინის ფაკულტეტზე გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობის ხარისხი სამედიცინო კვლევებში, კლინიკურ პრაქტიკაში და საერთაშორისო პროექტებში.

— **რა სამოქალაქო პოზიცია გქონ**

დათ მაშინ, როცა რამდენიმე წლის წინ უნივერსიტეტმა დაკარგა ავტონომია და იგი ხელისუფლების პოლიტიკის გამტარებელი გახდა?

— რამდენადაც ვიცი, ფორმალურად, სამართლებრივი თვალსაზრისით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ავტონომია არასოდეს დაუკარგავს. მეტიც, უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე გვარწმუნებდნენ, რომ უნივერსიტეტის სამართლებრივი მოწყობის ყოველი ახალი ფორმა მხოლოდ იმიტომ იყო მონოდეპენდენტი, რომ უნივერსიტეტის ავტონომიურობის ხარისხი გაზრდილიყო. ფაქტობრივად, რა თქმა უნდა, სხვადასხვა პერიოდში უნივერსიტეტს მნიშვნელოვანი დარღვევები ჰქონდა ავტონომია და ხელისუფლების პოლიტიკას ატარებდა.

ჩემი დამოკიდებულება, ზოგადად, ზემოთ აღნიშნულსა და ნეგატიური იყო. მიმაჩნდა, რომ სერიოზული ხარვეზები დაუშვეს თანამშრომლების, მათ შორის მალაკომპეტენტური და დამსახურებული მეცნიერ-პედაგოგების სამსახურიდან დათხოვნის პროცესში, მეტი ანალიზი და უკეთესი დასაბუთება იყო საჭირო ფაკულტეტების გამსხვილების და კათედრების (მომართულებების, დეპარტამენტების) რეორგანიზაციისას. შენიშვნები მქონდა დაფინანსების მოდელთან და სხვ.

ამავე დროს, მინდა აღვნიშნო, რომ ის ნეგატიური პროცესები, რაც ზოგადად უნივერსიტეტში ხდებოდა, მათ შორის გარედან ჩარევა, მედიცინის ფაკულტეტს ნაკლებად შეეხო. კერძოდ, ფაკულტეტი დაკომპლექტებული იყო და არის ავტორიტეტული და მალაკვალიფიციური აკადემიური პერსონალით. მის განკარგულებაშია საუკეთესო კლინიკური ბაზები.

ფაკულტეტს პრაქტიკულად არ შეხებია მალაკვალიფიციური და დამსახურებული მეცნიერ-პედაგოგების სამსახურიდან გაუმართლებელი დათხოვნის პროცესი და სხვ. თუმცა, ფაკულტეტი უნივერსიტეტის მთლიანი ორგანიზმის ნაწილია და იმიტომ, ბუნებრივია, საერთო საუნივერსიტეტო მასშტაბით სიტუაციის გაჯანსაღება, რისთვისაც აკადემიური საბჭოს წევრად არჩევის შემთხვევაში ძალისხმევას არ დავიშურებ, მედიცინის ფაკულტეტისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.



თენგიზ ცერცვაძე

1948 წლის 16 მარტს თბილისში. თენგიზ ცერცვაძე თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი და ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრის გენერალური დირექტორია. 1972 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი და ამავე ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კათედრაზე 1972-76 წლებში გაიარა კლინიკური ორდინატურა და ასპირანტურა. მისი დისერტაციის თემა შეეხებოდა ჰიპერტონული დაავადების პათოგენეზისა და მკურნალობის საკითხებს.

თენგიზ ცერცვაძის სახელს უკავშირდება ყოფილ საბჭოთა კავშირში შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის დაარსება, რომელსაც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა, პარალელურად იყო თსუ-ის ინფექციური დაავადებათა და კლინიკური იმუნოლოგიის დეპარტამენტში მოწვეული პედაგოგი.

2001-2007 წლებში იყო ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.



ჯდომარე. ამავე დროს, თენგიზ ცერცვაძე სხვადასხვა პროფესიულ და საზოგადოებრივ თანამდებობებზე საქმიანობდა: 1992 წლიდან დღემდე არის ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ქალაქ სანტა-კრუსის საპატიო მოქალაქე, ამერიკის ინფექციურ დაავადებათა საზოგადოების (IDSA) და შიდსის საერთაშორისო საზოგადოების (IAS) წევრი, ამერიკისა და ევროპის ღვიძლის დაავადებათა შემსწავლელი ასოციაციების (EASL, ESCMID) წევრი, ასევე, შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს წევრი და საქართველოს ინფექციონისტთა, ჰეპატოლოგთა, პარაზიტოლოგთა, ეპიდემიოლოგთა და მიკრობიოლოგთა სამეცნიერო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი.

პროფესიული მიღწევებისა და სამოქალაქო დამსახურებებისთვის თენგიზ ცერცვაძე დაჯილდოებულია: საქართველოს ღირსების ორდენით (1999 წ.), აშშ-ს სამოქალაქო კლავისა და განვითარების ფონდის (CRDF) ჯილდოთი, „დედოფალ ვიქტორიას მედლით“; 2011 წელს მიენიჭა საქართველოს ეროვნული პრემია მედიცინის დარგში.

თენგიზ ცერცვაძე 3 მონოგრაფიისა და 77 სამეცნიერო სტატიის ავტორია; სამეცნიერო დარგში მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა 13 საგრანტო პროექტი; იყო 6 საკანდიდატო დისერტაციისა და 9 სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი **გიორგი გალდავა**

გიორგი გალდავა დაიბადა 1970 წლის 19 მარტს;

1994 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფილაქტიკური მედიცინის ფაკულტეტის ჰიგიენის, ეპიდემიოლოგიისა და პროფესიული დაავადებების სპეციალობა;

2005 წელს დაამთავრა თბილისის იურიდიულ-ფსიქოლოგიური ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით;

2002 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე „უროგენიტალური ტრაქტის ინფექციურ-ანთებითი პროცესები და პათოსპერმია“;

1987-1988 წლებში იყო თბილისის რესპუბლიკური ინფექციური საავადმყოფოს სეფსისის სანიტარულ-ცენტრის ქირურგიული განყოფილების სანიტარი; 1991-1992 წლებში — კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ინსტიტუტის ლაბორატორიული დიაგნოსტიკის განყოფილების პრეპარატორი; 1992-1994 წლებში მუშაობდა კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ინსტიტუტში ექთნად; 1994-1995 წლებში — კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ინსტიტუტის საორგანიზაციო-მეთოდური განყოფილების ოპერატიული ჯგუფის უფროსად;

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ,

1995-1996 წლებში, მუშაობდა კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ინსტიტუტის მამაკაცთა ათაშანგის განყოფილების ექიმ-ორდინატორად; ხოლო 1996-2004 წლებში — კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ინსტიტუტის ანდროლოგიური განყოფილების ექიმად;

2004-2007 წლებში გიორგი გალდავა დაინიშნა სს კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ; შემდეგ — გენერალურ დირექტორად;

2012 წლიდან დღემდე არის შპს კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი;

2004 წლის აპრილიდან დღემდე იგი არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დერმატო-ვენეროლოგიის დეპარტამენტის პროფესორი; არის 10 სახელმძღვანელოს (მათ შორის დამხმარე სახელმძღვანელოს) და მეთოდური რეკომენდაციის ავტორი და თანაავტორი;

გამოქვეყნებული აქვს 109 სამეცნიერო პუბლიკაცია, მათ შორის — იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში — 8.

პროფესორი გიორგი გალდავა ფლობს პატენტს გამოგონებაზე: კანის დაავადებათა სამკურნალო მალამოს მიღების ხერხი (ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქპატენტი, 4415, 23.01.2006);

მონაწილეობს საგრანტო/სახელმწიფო პროექტებში, მათ შორის, ბოლო 6 წლის განმავლობაში არის 20-მდე საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი და მკვლევარი;

თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან, მათ შორის: ერო-

ვლავის სამედიცინო უნივერსიტეტის დერმატოლოგიის, ვენეროლოგიის და ალერგოლოგიის დეპარტამენტთან (პოლონეთი); ლატვიის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დერმატო-ვენეროლოგიური დეპარტამენტთან; პლოვდივის უმაღლესი სამედიცინო ინსტიტუტის დერმატო-ვენეროლოგიური კლინიკასთან (ბულგარეთი); საუნივერსიტეტო ჰოსპიტალურ ცენტრ „ზაგრები“-ს დერმატო-ვენეროლოგიურ დეპარტამენტთან (ხორვატია); ტარტუს უნივერსიტეტის კლინიკასთან (ესტონეთი); უფსალას უნივერსიტეტის სამედიცინო კვლევის დეპარტამენტთან (შვედეთი); შპს ლატვიის დერმატოლოგიური ცენტრთან; ერებრუს საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის ლაბორატორიული მედიცინისა და კლინიკური მიკრობიოლოგიის დეპარტამენტთან (შვედეთი); დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრთან (ატლანტა, ჯორჯია, აშშ);

2005 წლიდან არის საერთაშორისო სამედიცინო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის „South Caucasian Dermatology and Venereology News“-ის დამფუძნებელი და სარედაქციო კოლეგიის წევრი;

ასევე არის სასერტიფიკაციო საგამოცდო დარგობრივი კომისიის თავმჯდომარე სპეციალობაში „დერმატო-ვენეროლოგია“; სახელმწიფო სარეზიდენტურ პროგრამის ხელმძღვანელი დერმატო-ვენეროლოგიაში;

2004 წლიდან არის ევროპის დერმატოლოგიის და ვენეროლოგიის აკადემიის — EADV (European Academy of Dermatology and Venereology) — ნამდვილი წევრი; 2007 წლიდან — ევროპის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ასოციაციის (The European Public Health Association) წევრი; დერმოსკო-



პისტა სერთაშორისო საზოგადოების (IDS) ნამდვილი წევრი; საერთაშორისო ტელედერმატოლოგია (ISTED) ასოციაციის ნამდვილი წევრი; საერთაშორისო სამედიცინო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის „სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დერმატოლოგიის და ვენეროლოგიის სიახლენი“-ს დამფუძნებელი და სარედაქციო კოლეგიის წევრი.

2010-2013 წლებში იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრი; ხოლო 2013 წლის აგვისტოდან იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

80-13 გვირგვინი



აკადემიური საბჭოს არჩევნები — 2014

წევრობის კანდიდატები

მეთორმეტე გვერდიდან

ფაკულტეტმა უკვე იცის — რას გავაკეთებ მომავალში

გვესაუბრება თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი **ნუზარ სურგულაძე**:

— თქვენი აზრით, რატომ უნდა მოგცეთ ხმა ფაკულტეტის პროფესორებმა და სტუდენტებმა? რას გავაკეთებთ გამარჯვების შემთხვევაში?

— მე უკვე არჩეული ვარ და აკადემიური საბჭოს წევრად. ასე რომ, ფაკულტეტმა უკვე იცის — რას გავაკეთებთ მომავალში.

— რა სამოქალაქო პოზიცია გქონდათ მაშინ, როდესაც რამდენიმე წლის წინ უნივერსიტეტმა დაკარგა ავტონომია?

— საბჭოთა პერიოდში მოყოლებული დღემდე უნივერსიტეტის ავტონომია შეზღუდულია. მხოლოდ ეს შემოიღო გითხრათ.



ნუზარ სურგულაძე დაიბადა თბილისში 1950 წლის 29 ნოემბერს. 1972 წელს დაამთავრა თსუ-ის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ფაკულტეტი საზღვარგარეთის ქვეყნების ქვეყანათმცოდნეობის სპეციალობით. 1972-1975 წლებში თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ასპირანტურაში სწავლობდა. 1979 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა, ხოლო 1994 წელს — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო

ხარისხი. 1976-1984 წლებში გახლდათ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, 1984-1993 წლებში — ამავე ინსტიტუტში უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, 1993-2006 წლებში — წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, 1997-2005 წლებში — თსუ-ის პროფესორი, 2003 წლიდან დღემდე — თ. წერეთლის სახელობის სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, 2005 წლიდან — თსუ-ის ასოცირებული პროფესორი, 2008 წლის სექტემბრიდან დღემდე — თსუ-ის პროფესორი. 2010 წლის 17 აგვისტოდან 31 აგვისტომდე გახლდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი.



პროფესორი ნუზარ სურგულაძე გამომგზავნილი აქვს 41 სამეცნიერო შრომა, მათ შორის 6 მონოგრაფია და 3 სახელმძღვანელო. გახლდათ ორი საკანდიდატო დისერტაციის ხელმძღვანელი და 2 საკანდიდატო დისერტაციის ოპონენტი. 2005 წლიდან არის თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის საბჭოსა და 2006 წლიდან თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი.

თავისუფლება უნდა იყოს ჩვენს გულში

გვესაუბრება თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი **მაია კოპალაიშვილი**:

— თქვენი აზრით, რატომ უნდა მოგცეთ ხმა ფაკულტეტის პროფესორებმა და სტუდენტებმა? რას გავაკეთებთ გამარჯვების შემთხვევაში?

— უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრობა ძალიან საპატიო და საპასუხისმგებლო საქმიანობაა. გამარჯვების შემთხვევაში, როგორც წესი, პასუხისმგებლობით მოვეციდები ყველა იმ გამოწვევას, რაც ჩვენი უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წინაშე შესაძლოა წარმოიქმნას.

— რა სამოქალაქო პოზიცია გქონდათ მაშინ, როდესაც რამდენიმე წლის წინ, უნივერსიტეტმა დაკარგა ავტონომია და იგი ხელისუფლების პოლიტიკის გამტარებელი გახდა?

— მე საკითხს უნივერსიტეტის ავტონომიასთან მიმართებით ასე არ დავსვამდი. ეს თქვენი გაზეთის სუბიექტური აზრის გამოვლინება უფრო მგონია, რომელიც ეფუძნება თუ არა ობიექტურ კრიტერიუმებს, თავის მხრივ, გარკვევას მოითხოვს, ამის ფორმაც კი ეს საგაზეთო ინტერვიუ არ იძლევა. დამატებით აღვნიშნავ, რომ ჭეშმარიტი დამოუ-



კიდებლობა პიროვნულ და ინსტიტუციურ დონეზე მაშინ მიიღწევა, როდესაც ადამიანი თვით არის შინაგანად დამოუკიდებელი და თავისუფალი, თავისუფლება უნდა იყოს ჩვენს გულში. როგორც ცნობილია ამერიკელმა მოსამართლემ (ლერნეი ჰენრი) განაცხადა, როდესაც თავისუფლება ადამიანის გულში კვდება, ვერც ერთი კონსტიტუცია, ვერც ერთი კანონი და ვერც ერთი სასამართლო ვერ შეძლებს დაეხმაროს მას.



მაია კოპალაიშვილი დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი წარჩინებით. დისერტაცია დაიცვა სახელმწიფო მმართველობაში ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის თემაზე. იგი თსუ-ში 1992 წლიდან ეწევა პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას. 2005 წლიდან არის თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი. იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციაში იურისტად. მაია კოპალაიშვილი იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის მოსამართლე და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე; საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი; საქართველოს იუსტიციისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი. ის 2009 წლიდან არის საქართველოს

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი. მაია კოპალაიშვილი სხვადასხვა დროს სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა შპაიერის (გერმანია) საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში. კვლევა განახორციელა სხვადასხვა თემაზე: ადმინისტრაციული სამართალი და პროცესი, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულებათა ურთიერთმიმართების საკითხი, ადმინისტრაციული სამართლის მეცნიერება და თანამედროვე საჯარო მმართველობა, მმართველობის მოდერნიზაცია.

მაია კოპალაიშვილი მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში და კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებში. არის სამეცნიერო ნაშრომებისა და კვლევების ავტორი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული სამართლისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელოს, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარის თანაავტორი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკის შესახებ გამოცემის, სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის — „ადმინისტრაციული სამართალი“ სამეცნიერო რედაქტორი.

ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტი

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის აუდიტორია გაიხსნა

თამარ ლაღინი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ინიციატივით, უნივერსიტეტის მალევე კორპუსში მდებარე 208-ე აუდიტორიის დიდი ქართული მეცნიერ-ეკონომისტის, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელი მიენიჭა.

აუდიტორია 8 ოქტომბერს გაიხსნა, რომელსაც ესწრებოდნენ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თეიმურაზ ბერიძე, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი რამაზ აბესაძე, ქართული ეკონომიკური სამეცნიერო საზოგადოების სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლები, თსუ-ის პროფესორები და სტუდენტები. განსაკუთრებული სტუმრის სტატუსით ღონისძიებაზე მონაწილე იყვნენ აკადემიკოსის შთამომავლები და ოჯახის წევრები.

„დღეს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტზე მნიშვნელოვანი დღეა. გაიხსნა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის აუდიტორია. ამ თვალსაჩინო მეცნიერის ნაშრომები ეძღვნება სახალხო მეურნეობის და ეკონომიკური აზრის ისტორიის, სტატისტიკის, გეგმაზომიერება-პროგნოზირების, ჟურნალისტიკის, დემოგრაფიის, სოციოლოგიისა და ბიბლიოგრაფიის აქტიუალურ პრობლემებს. მან დიდი წვლილი შეიტანა ახალი ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშავებაში; ფილიპე გოგინაშვილთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ქართულ სამეც-

ნიერო-ეკონომიკურ სკოლას. რაც შეეხება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი სახელობის აუდიტორიის გახსნას, ეს მნიშვნელოვან იმპულსს, თუ რამდენად ღირებული და ძვირფასია ჩვენთვის დიდი მეცნიერის ღვაწლი“, — განაცხადა თეიმურაზ ბერიძემ.

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა რამაზ აბესაძემ მეცნიერის მოღვაწეობის იმ პერიოდზე ისაუბრა, რომელიც მან ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებასა და ამოქმედებას მონაწილეობდა. „დიდი მეცნიერის სახელობის აუდიტორიის გახსნა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ეს დასტურია იმისა, რომ დედა-უნივერსიტეტი პატივს სცემს აკადემიკოსს, მის ღვაწლსა და დამსახურებას. აქვე უნდა ითქვას, რომ მნიშვნელოვანია მის მიერ დაარსებული ეკონომიკის ინსტიტუტის შენარჩუნებაც, სადაც მან მოღვაწეობის მნიშვნელოვანი წლები გაატარა. მრავალი

წინააღმდეგობის მიუხედავად, დღეს ეს ინსტიტუტი მაინც ახერხებს წინსვლას, აწყობს საერთაშორისო კონფერენციებს, აქვეყნებს ნაშრომებსა და მონოგრაფიებს“, — აღნიშნა რამაზ აბესაძემ.

„ეკონომიკური მეცნიერების პატრიარქი“ უწოდა პაატა გუგუშვილს პროფესორმა ლეო ჩიქავამ. საუკეთესო პიროვნული თვისებების მატარებელ მეცნიერად დაახასიათა იგი ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა რევაზ გოგობიაძემ.

„აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი, მთელი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით, ეროვნული მოღვაწე გახლდათ. იგი, აშკარად თუ შეფარვით, დღემდეა იბრძოდა საქართველოს გათავისუფლებისთვის, ღრმად სწამდა, რომ ეს ახლო მომავალში რეალობად იქცეოდა. პაატა გუგუშვილი ჭეშმარიტად იმ მცირერიცხოვან ქართველ მოღვაწეთა კორტას ეკუთვნის, რომელთა უპირველესი

საფიციარი საქართველო და ქართველობა იყო“, — განაცხადა რევაზ გოგობიაძე და გამოვიდა ინიციატივით, რომ პაატა გუგუშვილის სახელი ეწოდოს იმ ქუჩას, სადაც იგი დაიბადა და გაიზარდა.

დიდი მეცნიერის მოღვაწეობასა და პიროვნულ თვისებებზე ისაუბრეს აგრეთვე თსუ-ის ვიცე-რექტორმა იოსებ სალუქვაძემ, პროფესორებმა ავთანდილ სულაბერიძემ და ჯემალ ხარიტონაშვილმა.

პაატა გუგუშვილი თვალსაჩინო ფიგურაა ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებაში. ამის დასტური მისი შრომებია. მის კალამს ეკუთვნის 400-ზე მეტი გამოქვეყნებული ნაშრომი, რომლებიც, უმთავრესად, მიძღვნილია ეკონომიკური მეცნიერების სხვადასხვა პრობლემისადმი. ამასთანავე, იგი ავტორია ისტორიის, სოციოლოგიის, საზოგადოებრივი აზრის განვითარების, ჟურნალისტიკის, ეთნოგრაფიის, ენათმეცნიერების (საკუთრივ ტერმინოლოგიისა) და ა.შ. საკითხებზე საფუძვლიანი გამოკვლევებისა.

1944 წელს მისი ინიციატივით შეიქმნა ეკონომიკის ინსტიტუტი, რომელსაც 32 წელი თავად ხელმძღვანელობდა. ამ ინსტიტუტმა დიდი როლი ითამაშა ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში, ქვეყნისთვის სასიცოცხლო პრობლემების დამუშავებაში, კვალიფიკაციური კადრების მოზადებაში. შეიძლება თამამად ითქვას, რომ არ დარჩენილა ეკონომიკური მეცნიერების არც ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც მეცნიერის საფუძვლიანად არ განეხილა თავის მრავალრიცხოვან შრომებში. იგი ქართული სამეცნიერო ეკონომიკური სკოლის შემქმნელად გვევლინება.



ანდრია ავაქიძე — ადამიანი, რომელმაც ყველაფერი შესწირა არქეოლოგიას



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს ანდრია ავაქიძის დაბადებიდან 100 წლისთავი მნიშვნელოვანი და საინტერესო ღონისძიებათა ციკლით აღნიშნეს. 3 ოქტომბერს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გაიმართა საიუბილეო სხდომა, ხოლო 4 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა აკადემიკოსის ხსოვნას სამეცნიერო კონფერენცია და საიუბილეო საღამო მიუძღვნა.

პიროვნება

ანდრია ავაქიძე თითქმის ყველა უნივერსიტეტს ახსოვს — თოვლივით თეთრი თმით, განუყრელი სათვალით და მუდმივად სერიოზული, საქმიანი იერიით. სადაც უნდა შეხვედროდით, ქუჩაში თუ უნივერსიტეტში, იგი ერთნაირად განგანაყოფიერებდა და პატივისცემით, რადგან მასში ინტელიგენტი და დიდი მეცნიერი შორიდანაც იცნობოდა.

ანდრია ავაქიძე 1914 წლის 3 სექტემბერს სენაკში, სოფელ ზანაში დაბადებულა. მის მშობლებს 6 შვილი ჰყოლიათ — სამი ვაჟი და სამი — ქალი, ანდრია მათ შორის ყველაზე უმცროსი ყოფილა. ერთ-ერთ ინტერესულ ფაქტს იგი ოჯახსა და ბავშვობაზე საუბრობს, აღნიშნავს: „მძიმე ცხოვრება მქონდა. მამა ადრე, ოთხი წლისას გარდაამცვალა ბაქოში. მშობლიურ სოფელში დაგბრუნდნენ, ზანაში. ძალიან ღარიბი ოჯახი დაგვრჩა, თავადური კი, მაგრამ თავადობისა არაფერი გვიგრძნია... დედას კახეთით მთელი სოფელი უნდა შემოეყო ხოლმე სიმინდის ფეხლის სასესხებლად და ზოგჯერ მაინც ხელცარიელი ბრუნდებოდა, თუმცა, კეთილი ხალხი ცხოვრობდა ზანაში.“

„თავადური წარმოშობის ღარიბი ოჯახის შვილი“, როგორც თავად ამბობდა, 1932 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. 1937 წელს კი ასპირანტურაშიც ჩააბარა და მას შემდეგ — 2002 წლამდე, მუხლიაუხრელი შრომით განვლო გზა ასპირანტიდან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტობამდე (1988-2002 წწ.). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ანდრია ავაქიძე პირველი იყო მათ შორის, ვინც არქეოლოგიის დარგში ასპირანტი გახდა და 1941 წელს საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა.

ანდრია ავაქიძე არქეოლოგიით გატაცებას თავის საუბრებში ცნობილ ქართველ მეცნიერს გიორგი ნორაძეს უკავშირებდა. ამბობდა — ჯერ კიდევ სტუდენტი წამიყვანა გათხრებზე და მოგვიანებით ინსტიტუტშიც ჩამოიცხა უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად. სწორედ აქედან — გიორგი ნორაძის მიერ დაწყებული საქმეებიდან და, მოგვიანებით, აკადემიკოს სიმონ

ჯანაშიასთან აქტიური თანამშრომლობიდან იღებს სათავეს ანდრია ავაქიძის არქეოლოგიური მოღვაწეობა, რომელმაც არა ერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა დაუტოვა საქართველოს ისტორიასა და მეცნიერებას.

უპირველეს, რასაც თავად აკადემიკოსი გამოჰყოფდა საკუთარი ნაამბავრიდან, იყო „დიდი მცხეთის“ არქეოლოგიური ძეგლების შესწავლისთვის განუღებელი შრომა. კერძოდ, მან შეისწავლა სამთავრო, არმაზის ხევი, ანუ მცხეთის საპიტახში (იგივე საერისთავოს უბანი) და არმაზის ციხე. ექსპედიცია, რომელსაც ანდრია ავაქიძე ხელმძღვანელობდა, ერთგვარი გაგრძელება იყო ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას და გიორგი ნორაძის არქეოლოგიური ძიებებისა მცხეთაში, რომელსაც აქტიურად 1936-1937 წლებში ჩაეყარა საფუძველი. უფრო ადრე, რევოლუციამდე კი მცხეთის გათხრებს ექვთიმე თაყაიშვილი ხელმძღვანელობდა. ანდრია ავაქიძე მცხეთის გათხრებს ასე იგონებს: „ფართო სამუშაოები პირველად არმაზის ხევში 1940 წელს გაიშალა, რასაც ბიძგი მისცა ერთმა შემთხვევითობამ — აქ მოინდომეს დასახლება და სახლის მშენებლობისას მიწისქვეშა ნაგებობას წააწყდნენ. ეს იყო სამარხი — თლილი ლოდებისაგან გაკეთებული ყუთი. შეიქმნა არქეოლოგიური ექსპედიცია და იმ ჯგუფში აღმოვჩნდი მეც“. პირველ ეტაპზე არქეოლოგიური გათხრები დიდხანს არ გაგრძელდებულა, რადგან არმაზის და ბაგინეთის ისტორიით დაინტერესებულ მეცნიერებს მეორე მსოფლიო ომმა მოუსწრო.

ომის დაწყებიდან რამდენიმე თვეში ფრონტზე ანდრია ავაქიძეც გაიწვიეს. თბილისის სამხედრო საარტილერიო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი ჩრდილოკავკასიის ფრონტზე იბრძოდა, მაგრამ 1942 წელს, ერთ-ერთი ბრძოლის დროს, დაიჭრა და საქართველოში დაბრუნდა. 1943 წლიდან ანდრია ავაქიძე ისევ აქტიურად ჩაერთო არქეოლოგიურ სამუშაოებში. კერძოდ, სწორედ ამ დროიდან, იგი უკვე ბაგინეთის (მცხეთის) არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელია და თითქმის მთელ ცხოვრებას უკავშირებს საქართველოს ისტორიისთვის უმნიშვნელოვანეს ამ არქეოლოგიურ ძეგლს.

ამავე წელს იგი დანიშნეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორად, სადაც 10 წელი იმუშავა. ეს პერიოდი მუზეუმის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი არქეოლოგიური კვლევა-ძიებებით იყო გამოირჩეული.

1953-1980 წლებში ანდრია ავაქიძე ხელმძღვანელობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილებას და წარმართაგან არქეოლოგიურ სამუშაოებს მთელ საქართველოში, მათ შორის, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ანდრია ავაქიძის 100 წლისთავის იუბილესთვის გამოცემულ ბუკლეტში, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გურამ ლორთქიფანიძის ავტორობით გამოსცა, ნათქვამია: „ამ ექსპედიციას, რომელსაც ბატონი ანდრო ავაქიძე ხელმძღვანელობდა 1953-1974 წლებში, მცხეთის შემდეგ, უდიდესი როლი აქვს ნათამაშები ანტიკური (კლასიკური) არქეოლოგიის განვითარებაში. მის მიერ გამოვლენილი იქნა ძველი ბერძნული, რომაული ენათმეცნიერების ციხე-ქალაქი პიტიუნტი-პიტიუსი, ქართულ-აფხაზური „ბიჭუნტა“ — ადრეული ქრისტიანობის ცენტრი X-XI საუკუნეების კათედრალი, რომლის მომლოცველთა შორის დავით აღმაშენებელიც იყო... ბატონი ანდროს რედაქტორობით გამოიცა „დიდი პიტიუნტისადმი“ მიძღვნილი შრომების სამი მოზრდილი ტომი. აქვე იწერებოდა ქართული ისტორიოგრაფიისათვის იშვიათი „არქეოლოგიური ლექსიკონი“, რომლის შემდგენელი და რედაქტორი ანდრია ავაქიძე გახლდათ.“

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანდრია ავაქიძე იყო არქეოლოგიაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული პირველი ქართული სახელმძღვანელოს ერთ-ერთი ავტორი და სამეცნიერო რედაქტორი. 1964 წელს მას მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ნობელი და სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემია მონოგრაფიისათვის „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში“, ხოლო 1982 წელს ანდრია ავაქიძის ღვაწლი „საქართველოს ისტორიის ღვაწების“ (ტ. I) გამოცემაში საქართველოს სახელმწიფო პრემიით აღინიშნა. 1967 წელს ანდრია ავაქიძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1983 წელს — აკადემიკოსად აირჩიეს.

1988 წლიდან 2002 წლამდე ანდრია ავაქიძე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ამავე დროს იგი ხელმძღვანელობდა საქართველოს არქეოლოგიურ კომისიას და ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საისტორიო საზოგადოებას. იმ უამრავ ჯილდოს შორის, რომელიც ანდრია ავაქიძეს დაულაღვი შრომისათვის მიანიჭეს, არის ივანე ჯავახიშვილის საიუბილეო მედალი, რომელიც მას 1992 წელს გადაეცა.

ყველა, ვისაც კი ბატონ ანდრია-სთან ცოტა ხნით მაინც უმოუშავია, აღნიშნავს მის გამორჩეულ თვისებას — ნიჭიერი ახალგაზრდებისათვის ხელშეწყობის უნარს და მონაფეხებისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას. „მეკაცნი, სამართლიანი და მომთხრობნი“ — ასე იხსენებენ მას მისი ასპირანტები და იმასაც დასძენენ, რომ მათ მასწავლებელს უსამართლოდ არასოდეს არავისთვის მიუცია შენიშვნა, ხოლო ველზე გასულს, საშუალებას აძლევდა ოჯახებისთვისაც მიექციათ ყურადღება, რაც თვე-

ბით ექსპედიციებში მყოფი არქეოლოგებისთვის დიდი შეღავათი იყო.

იმასაც იხსენებენ, რომ ანდრია ავაქიძე განსაკუთრებით ყოფილა გატაცებული ჭადრაკით და მუსიკით, რასაც თავდაც აღნიშნავდა ინტერვიუებში, თუმცა 90 წლის აკადემიკოსი მუსიკისადმი განსაკუთრებულ ინტერესს კიდევ სხვა საბაბით ხსნიდა: „ახლა მუსიკით ჩემი გატაცება თავისებური მიზეზითაც არის განპირობებული: შვილიშვილი, დუდანა მახმანიშვილი ნიჭიერი პიანისტი აღმოჩნდა და რამდენიმე წელია გერმანიაში... რამდენადაც ვიცი, წარმატებით მეცადინებო“, — ამბობს იგი გაზეთ „თბილისისთვის“ მიცემულ ინტერვიუში 2004 წელს.

სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ, 2005 წლის 25 ნოემბერს, ანდრია ავაქიძე გარდაიცვალა. ცხრა წლის შემდეგ კი, მისი დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა სამეცნიერო კონფერენცია, რომლის სახელწოდებაც სწორედ ისევე შედგა, როგორც ანდრია ავაქიძის მონოგრაფია: „ქალაქები და სამოქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში“.

„ქალაქები და სამოქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში“

4 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო კონფერენცია გამართეს არქეოლოგებმა — ანდრია ავაქიძის მონაფეხებმა და მისმა მიმდევრებმა. კონფერენციაში ქართველ მეცნიერებთან ერთად უცხოელი მეცნიერებიც მონაწილეობდნენ.

ანდრია ავაქიძის დამსახურებაზე მეცნიერების წინაშე ისაუბრა უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ანდრია ავაქიძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღნიშვნა ლოგიკურია, რადგან სწორედ ამ უნივერსიტეტს უკავშირდებოდა მეცნიერის მთელი ცხოვრება — დაწყებული სტუდენტობიდან, დასრულებული აკადემიკოსობით: „ბატონი ანდრია-სთვის ორი სივრცე — მეცნიერებათა აკადემია და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო ერთიანი და განუყოფელი. მან საკმაოდ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართულ მეცნიერებაში და არქეოლოგიას დიდი არმია ალუზარდა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ მისი დაბადებიდან 100 წლისთავს აღვნიშნავთ“, — განაცხადა მან.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ჯონი ავაქიძემ განსაკუთრებით გამოჰყო

ანდრია ავაქიძის დამსახურება წყალქვეშა არქეოლოგიის განვითარებაში, რადგან იგი იყო პირველი, ვინც ბიჭვინთის — „დიდი პიტიუნტის“ გათხრების დროს, აკვალანგით ჩავიდა წყალქვეშ და გამოიკვლია იგი. „ანდრია ავაქიძეს უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა აფხაზეთში. როცა სოხუმში ჩამოდიოდა, აფხაზი კოლეგები დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ მას. ეს იყო ადამიანი, რომელმაც ყველაფერი შესწირა არქეოლოგიას და არქეოლოგიური მეცნიერების განვითარებას“, — აღნიშნა ჯონი ავაქიძემ.

ანდრია ავაქიძის, როგორც მეცნიერის და როგორც პიროვნების შესახებ, განსაკუთრებული მონივნებით საუბრობდნენ მისი მოწაფეები. მათ შორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტ გურამ ლორთქიფანიძე, რომელსაც მიაჩნია, რომ ანდრია ავაქიძის ცხოვრება — ეს იყო შრომისა და სწავლის დაძაბული წლები და ათწლეულები. „ეს დღეები არა მხოლოდ ანდრია ავაქიძის, ამავე დროს ქართული არქეოლოგიის დღეებიცაა. მე მისი მოსწავლე გახლავართ. 1960 წელს, V კურსის სტუდენტს, სწორედ მან მიჩნია — მონაწილეობა მიმელო ბიჭვინთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში. ამანვე განაპირობა ჩემი მომავალიც — როცა ბატონი ანდრო 1974 წელს მთავრობის დადგენილებით გამოიყვანეს მცხეთის არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელად, შემდეგ მე ჩააბარა ბიჭვინთის არქეოლოგიური ექსპედიციის მეთაურობა და ეს იყო დიდი ნდობა ჩემ მიმართ. ბატონი ანდრია იყო მკაცრი, მაგრამ სამართლიანი და ჩვენ მუდამ მორიდებული ვიყავით მის მიმართ, არა იმიტომ, რომ გვეშინოდა, არამედ იმიტომ, რომ სამართლიანი იყო და უშიშვლად შენიშვნას არასოდეს მოგცემდა. იგი ძალიან მკაცრად ადევნებდა თვალყურს თავისი მონაფეხების სამეცნიერო ზრდას“, — აღნიშნა გურამ ლორთქიფანიძემ.

სამეცნიერო კონფერენციაზე არა ერთი საინტერესო მოხსენება წარმოადგინეს. მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელის, პროფესორ ვახტანგ ლიჩილას მოხსენება, რომელშიც მან მიმოიხილა „ურბანული ცენტრები შიდა ქართლში“. მომხსენებელმა განსაკუთრებით გამოკვეთა ის ახალი აღმოჩენები, რომელსაც, თსუ-ის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, მიმდინარე წლის ივლის-აგვისტოში მიაკვლიეს გრაკლიან გორაზე. მისი თქმით, ეს აღმოჩენები პირდაპირ ეხმიანება ანდრია ავაქიძის მიერ დამუშავებულ თემას ურბანისტული ცენტრების წარმოშობის შესახებ.

კონფერენციის ფარგლებში, თსუ-ის საექტო დარბაზის ფოიეში, ანდრია ავაქიძის პირადი კოლეცტიდან თსუ-ის ბიბლიოთეკაში დაცული სურათები და წიგნები გამოიფინა.

რექტორმა ლადო პაპავამ დასწრე საზოგადოებას გააცნო საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის წერილი, რომელიც პრემიერმა უნივერსიტეტს ანდრია ავაქიძის იუბილესთან დაკავშირებით გამოუგზავნა.



შვილიშვილის მადლიერება ბაბუსისადმი

კონფერენციის ფარგლებში, თსუ-ის საექტო დარბაზის ფოიეში, ანდრია ავაქიძის პირადი კოლეცტიდან თსუ-ის ბიბლიოთეკაში დაცული სურათები და წიგნები გამოიფინა.

რექტორმა ლადო პაპავამ დასწრე საზოგადოებას გააცნო საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის წერილი, რომელიც პრემიერმა უნივერსიტეტს ანდრია ავაქიძის იუბილესთან დაკავშირებით გამოუგზავნა.

ანდრია აფაქიძე — აღამიანი, რომელმაც ყველაფერი შესწირა არქეოლოგიას

მეთოთხმეტე გვერდიდან

პატრიარქის საერთაშორისო ფონდის გენერალურმა დირექტორმა ლამა ჟვანიამ კი ნაიკითხა კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის წერილი, რომელიც ანდრია აფაქიძის საიუბილეო თარიღს ეძღვნებოდა.

ამავე თარიღს დაემთხვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიერ შედგენილი ანდრია აფაქიძის კოლექციის კატალოგის გამოცემა. კოლექცია უნივერსიტეტს გადმოსცა ანდრია აფაქიძის შვილიშვილმა, ცნობილმა პიანისტმა და დიპლომატმა დუდანა მანანაშვილმა.

„უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა თავიდანვე შემოწირულობებით და პირადი კოლექციებით შეიქმნა. ეს ტრადიცია გრძელდება დღესაც. აქ ინახება ძალიან ცნობილი მოღვაწეების, მათ შორის, ექვთიმე თაყაიშვილის, პეტრე მელიქიშვილის, სემონ კლდიაშვილის და სხვათა პირადი კოლექციები. რამდენიმე

ხნის წინ ცნობილმა ქართველმა პიანისტმა და დიპლომატმა დუდანა მანანაშვილმა მოგვმართა, რომ ჰქონდა სურვილი, მისი სახელოვანი ნინაპრის – აკადემიკოს ანდრია აფაქიძის პირადი კოლექცია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისთვის გადმოეცა. ჩვენ, რასაკვირველია, ამას მადლიერებით შევხვდით, რადგან ანდრია აფაქიძის ხელშეწავლები ნიგნების გადმოცემა თავისთავად დიდი მოვლენაა, მაგრამ, ამასთან ერთად, ეს ძალიან შინაარსიანი და საინტერესო კოლექცია გახლავთ და მნიშვნელოვანი შენაძენია არქეოლოგიით დაინტერესებული მკვლევრებისთვის. ამ კოლექციაში 4 600-ზე მეტი საბიბლიოთეკო დოკუმენტია. ნე-სისამებრ, ჩვენმა თანამშრომლებმა დაიწყეს ამ კოლექციის კატალოგიზება და საიუბილეო დღეებისთვის უკვე გამოვეცით ერთი ტომი — ანდრია აფაქიძის კოლექციის კატალოგი“, — აღნიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბი-



ბლიოთეკის ხელმძღვანელმა ზურაბ გაიპარაშვილმა.

ანდრია აფაქიძის საიუბილეო საღამო დაასრულა მისი შვილიშვილის, ცნობილი პიანისტის დუდანა მანანაშვილის კონცერტმა.

ქალბატონი დუდანა დღესაც სიყვარულით იხსენებს ბაბუას და აღნიშნავს, რომ მისთვის ძალიან საამაყოა, რომ გაიზარდა ისე-

თი მეცნიერის ოჯახში, რომლის დანატოვარი საქმეები დღესაც აქტუალური და საყურადღებოა. „ბაბუა ყველასთვის საყვარელია და მეც არ ვიცივნი გამოხატვისი — თბილი მოგონებები მაკავშირებს მასთან. პირველი, რასაც გავიხსენებ, ისაა, რომ, ძილის წინ თავად თხზავდა და გვიყვებოდა ზღაპრებს. ვინაიდან ბაბუა არქეოლოგი იყო, მისი ზღაპრები დატვირთული იყო სათავგადასავლო და ისტორიული შინაარსით. ვიყავი გამორჩეულად ბედნიერი და გამომართლა, რომ ფანტაზია, რომლის განხორციელებაზეც ყველა ბავშვი ოცნებობს, მე ექსპედიციებში სიარულის დროს ამიხდა — ბაბუას ხშირად დავყავდი და საკუთარი თვალთვლით ვხედავდი — როგორ იბადებოდა ისტორია აღმოჩენილ არქეოლოგიურ ექსპონატებში“, — ღიმილით ყვება დუდანა ბატონი ანდრიაშვილის შესახებ და იხსენებს, რომ ბაბუის მომთხურომელი ხასიათი შვილიშვილებზე არ ვრცელდებოდა

— მათ თითქმის ყველა დანსებული ნორმის დარღვევის უფლებას აძლევდა. „ბაბუა იყო ტიპური დაბნეული მეცნიერი და იმდენად ვანსუბელი ჩვენ, პატარები, რომ გადამწყვიტა, თავის კაბინეტზე საკუთარი ძალებით დაეყენებინა საკეტი, რომ მუშაობისას არ შეგვეწუხებინა. დააყენა საკეტი და შედეგმა ძალიან გაგვახარა, რადგან კარი არა შიგნიდან, არამედ გარედან იკეტებოდა, რითაც კარგად ვსარგებლობდით ხოლმე...“ — გვითხრა დუდანამ.

ბატონი ანდრია მოეწონა შვილიშვილების წარმატებას, მოეწონა თავისი აღზრდილების სამეცნიერო წინსვლასაც და ვალდებულად იწვევდა ამ ქვეყნიდან. მისი საქმე, მისი ნათელი კვალი კი დარჩა და იარსებებს მანამ, სანამ საქართველოს ისტორიული წარსული კვლევისა და ინტერესის საგანი იქნება.

მომზადდა მაია ტორაძემ

იუბილე

ლაურ მანაგაძის ცხოვრების გზა

ჩვენი ერის ისტორიული განვითარება ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა ქართული მედიცინის გარეშე, რასაც ქვემარტივად ადასტურებს მრავალი ისტორიული თუ ლიტერატურული წყარო. სამედიცინო ხელოვნება ყოველთვის ეპოქის მოთხოვნილებაა დონეზე იყო და ვითარდებოდა თაობათა ცვლის კვალდაკვალ. დღეს მსოფლიოში ქართულ სამედიცინო კულტურას ერთ-ერთი ღირსეული ადგილი უკავია და ეს დამსახურებაა იმ შესანიშნავი მედიკოსებისა, რომელთაც უდიდესი წვლილი შეიტანეს როგორც კლინიკური, ისე სამეცნიერო მედიცინის განვითარებაში. სხვადასხვა მიმართულებათა შორის ქართული უროლოგიური სკოლა მნიშვნელოვნად გამორჩეულია, რასაც უნდა ვუმადლოდეთ ჩვენს უდიდეს მეცნიერებს, დასტაქრებს, რომელთა ტრადიციებს მართლაც რომ ღირსეულად აგრძელებს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ქირურგთა საერთაშორისო კოლეჯის წევრი, უროლოგთა საერთაშორისო საზოგადოების წევრი, ევროპის უროლოგთა ასოციაციის საპატიო წევრი, ამერიკის უროლოგთა ასოციაციის წევრი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, უროლოგიის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი ბატონი ლაურ მანაგაძე (ლაურ) მანაგაძე, რომელსაც 14 ოქტომბერს 70 წელი შეუსრულდა.

ლის გადანერგვის ცენტრი. მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტში სწავლისას ორგანოთა გადანერგვის დანიტერესებული ლაურ მანაგაძე მაშინდელი სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის, დღეისთვის თვალსაჩინო გულ-სისხლძარღვთა ქირურგის, აკადემიკოს ლეო ბოკერიას რჩევით, როგორც წარმატებული სტუდენტი, მოხვდა ახალგაზრდულ სამეცნიერო წრეში, რომელსაც აკადემიკოსი კოვანოვი ხელმძღვანელობდა. სწორედ აქ შეუდგა იგი მისთვის მეტად საინტერესო ტრანსპლანტაციის საკითხის ღრმად შესწავლა-დაუფლებას. უროლოგიის პროფილით ამ სფეროს კი იგი საბოლოოდ დააკავშირა გერმანელმა აკადემიკოსმა მეტელმა, რომელსაც 1975 წელს შეხვდა აღმოსავლეთ ბერლინში.

1975-1979 წლებში ლაურ მანაგაძემ სტაჟირება გაიარა გერმანიაში, უროლოგიურ კლინიკაში, რომელიც პროფესორმა მეტელმა გახსნა ბერლინში საბჭოთა კავშირში ოცნაიანი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შემდეგ. ამდენად, იგი კარგად იცნობდა საბჭოთა კავშირს და იცოდა, თუ სად იქნებოდა უკეთესი ნიადაგი ახალგაზრდა სპეციალისტის პროფესიონალად ჩამოყალიბებისთვის. პროფესორმა ლ. მანაგაძეს მთავარ პროფილად უროლოგობა ურჩია, რადგანაც ტრანსპლანტაციისათვის საქართველო არ წარმოადგენდა ფართო პრაქტიკულ ასპარეზს.



ლაურ მანაგაძე დაბრუნდა საქართველოში, რუსეთში კი სადოქტორო დისერტაციის დასაცავად ჩავიდა 1981 წელს. ათი წლის პრაქტიკა, ექსპერიმენტები, გამოცდილება გამოიყენა მეტად საინტერესო სადისერტაციო ნაშრომში სათაურით „მოზრდილ რეციპიენტთათვის ბავშვის თირკმლის ტრანსპლანტაცია“. ამ ნაშრომს მსოფლიო გამოხმაურება ჰქონდა, რამდენადაც მასში წარმოდგენილია თირკმლის გადანერგვის მეთოდოლოგიური გზები, მათ შორის ექსპერიმენტი ცხოველებზე, რაც კვლავაც პროფესორ მეტელის რჩევით ჩატარდა.

გერმანიაში განვლილმა პრაქტიკამ უაღრესად დიდი გამოცდილება შესძინა ქართველ ექიმს. 1976 წელს პირველად საქართველოში ლ. მანაგაძის ხელმძღვანელობით განხორციელდა თირკმლის გადანერგვის ოპერაციები და ეს პროცესი დღესაც წარმატებით გრძელდება უროლოგიის ეროვნულ კლინიკაში.

როლოგია, ენდოსკოპიური, მათ შორის ლაპარასკოპიური და პერკუტანული ქირურგია, შარდკენჭოვანი დაავადების თანამედროვე მეთოდებით მკურნალობა, ბავშვთა უროლოგია, თირკმლის ტრანსპლანტაცია.

მსოფლიო უროლოგიაში გამორჩეულია ლ. მანაგაძის კვლევები ნაწლავის პლასტიკის შესახებ. მან თავის კოლეგებთან ერთად შემუშავა დაბალი წნევის ნაწლავიანი რეზერვუარის ფორმირების მეთოდი, რომელმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვა და ცნობილია „თბილისის ტოპრაკის“ სახელით.

ლაურ მანაგაძის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს სამეცნიერო მოღვაწეობას, რომელიც 350 პუბლიკაციას, ასევე სამეცნიერო სტატიებს, სახელმძღვანელოებს, სასწავლო-მეთოდურ ლიტერატურას, გამოგონებებსა და მონოგრაფიებს მოიცავს. პუბლიკაციათა უმრავლესობა უცხოურ პერიოდიკაშია გამოქვეყნებული და დიდი ინტერესით სარგებლობს მსოფლიო უროლოგიურ წრეებში. მონოგრაფიები „ოპერაციული უროლოგია“ და „უროლოგია“ 2003, 2009 და 2012 წლებში რუსულ ენაზე გამოქვეყნდა, ხოლო თავები მონოგრაფიებიდან „ოპერაციული ტექნიკა“ 7 ენაზე, მათ შორის იაპონურადაც ითარგმნა. ლ. მანაგაძე ერთადერთი ქართველი უროლოგია, რომელიც ევროპის უროლოგთა ასოციაციის საპატიო წევრი გახდა. წლების განმავლობაში იგი იყო კიბოს კვლევისა და მკურნალობის ევროპული ორგანიზაციის წევრი და სამეცნიერო თანამშრომლობა ჰქონდა ქ. მანაგაძის (გერმანია) საუნივერსიტეტო კლინიკასთან. ონკოლოგიაში ჩატარებული კვლევებისა და ამ დარგში სამეცნიერო ნაშრომისათვის ლ. მანაგაძე დაჯილდოებული იქნა გრ. მუხაძის მედლით, რაც საერთაშორისო პრიზების გვერდით უდავოდ უმნიშვნელოვანეს ჯილდოს წარმოადგენს ქართველი ექიმისათვის. ლ. მანაგაძის ხელმძღვანელობით არაერთხელ ჩატარდა სხვა ქვეყნებთან ერთად კოოპერირებული კვლევები, რამაც ხელი შეუწყო ქართული უროლოგიის ინტეგრაციას ევროპულთან. ამ პროფილით ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ასპარეზზე წარმოდგენას ადასტურებს მონაწილეობა უამრავ კონგრესში, სიმპოზიუმსა და კონფერენციაში; ასევე ანალოგიური ღონისძიებების

მოწყობა და ორგანიზება საქართველოში. ლ. მანაგაძე ყოველთვის ცდილობს ახალგაზრდა და პერსპექტიული სპეციალისტები ჩართოს ამგვარ ფორუმებში, რათა ისინი ჩამოყალიბდნენ ქვემარტივ პროფესიონალებად.

ამ ხაზით გამორჩეულად უნდა აღინიშნოს ლაურ მანაგაძის პედაგოგიური მოღვაწეობაც. 1991-92 წლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი იყო. 1997-დან 2012 წლამდე იგი ივანე ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის უროლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორია. ამჟამად იგი უნივერსიტეტის ემერტუსია. მას განსაკუთრებულად პრიორიტეტული დამოკიდებულება აქვს ახალგაზრდა თაობის აღზრდის მიმართ და ძალისხმევას არ იშურებს მათი პროფესიული განვითარებისათვის. ამას ადასტურებს 12 საკანდიდატო და 10 სადოქტორო დისერტაცია, რომლებიც მისი ხელმძღვანელობითა და კონსულტაციებით დაიცვეს.

შეუძლებელია თუნდაც მოზრდილ სტატიამო მოათავსო ბატონი ლაურ მანაგაძის ის ღვაწლი და უამრავი დამსახურება, რაც მას ჩვენი ქვეყნის, კერძოდ ქართული მედიცინის წინაშე მიუძღვის. უროლოგიის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი კვლავაც დაუღალავად და საქმიან პრინციპებისადმი ჩვეული ერთგულებით განაგრძობს საქმიანობას. მაქვს პატივი ვიყო მისი კოლეგა და მეგობარი 1985 წლიდან და ვამაყობ, რომ არა ერთი იდეა განვახორციელეთ ერთობლივად, რასაც საკმაოდ მნიშვნელოვანი და გარდამტეხი შედეგები მოჰყვა. ჩვენი ცენტრის ყველა თანამშრომელი — შესანიშნავ პროფესიონალთა გუნდი, ამაყობს ბატონი ლაურ მანაგაძის გვერდით ყოფნით, დიდი მეცნიერითა და დასტაქრით, რომელიც კვლავაც დღესეულად განაგრძობს ქართული უროლოგიის კორიფეთა საშვილიშვილო საქმეს.

თიანუშა ზიზოზიძე,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საბუნებისმეტყველო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის უროლოგიის დეპარტამენტის პროფესორი



საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო განსახილველად გვთავაზობს უნივერსიტეტის ღრუბისა და გერბის ახალ ესკიზებს

წარმოგიდგინო ნიმუშების ახალ ვარიანტებს

გერბის ახალი ესკიზები




ღრუბის ახალი ესკიზები

გერბიდან გამომდინარე ღრუბის ესკიზები შესაქმებელია ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

გადაცემა ყველა უნივერსიტეტალისტვის



ცნობისთვის



თსუ-ის ვებ-გვერდზე TSU.EDU.GE მარჯვენა ქვედა კუთხეში დაემატა უნივერსიტეტის გადაცემების ვიდეოჩანაწერების გვერდის აღმნიშვნელი ჰიქტობრამა. ამ დილაკზე ხელის დაჭერით თქვენ შეგიძლიათ უწყურთ უნივერსიტეტის გადაცემებს

უწყურთ შაბათს, 25 ოქტომბერს, 17 საათზე საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის ეთერში გადაცემას „უნივერსიტეტი“



	<p>მოგვწერეთ: facebook.com Tsu/თსუ გადაცემა – უნივერსიტეტი</p>	<p>მთავარი რედაქტორი: ნინო კაკულია მთავარი საცხილისტი: მია ტორაძე ტექნიკური რედაქტორი: მანანა ჯურხაძე ფოტოკორაქონდენტი: ანა ბოლქვაძე კომპ. უზრუნველყოფა: ზაზა გულაშვილი</p>	<p>რედაქოლეგიის წევრები: რისმაგ გორდეზიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, მანანა შამილიშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, დიანა ძიძიგური, არსენ გვენეტაძე, პაატა ტურავა</p>	<p>მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ. 11* (თსუ-ის მე-3 კორპუსი) tsunewspaper@tsu.ge 2 22 36 62</p>
--	--	---	---	--